ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№463 (522) 6 - 19 ნოემბერი 2019 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო ფასი 50 თეთრი

# რუსი მიტროპოლიტი

5



მარტვილი მეუფე პეტრეს შპს-დ იქცა — შეუვალია, დახურული და მისი ნებართვის გარეშე თითსაც ვერავინ გაანძრევს. ჭყონდიდის მონასტერში წვერიანი ბიზნესმენები გაჩნდნენ, იქ მრევლისა და მორწმუნე ხალხის ადგილი აღარ დარჩა. წვერიანთა ხელშია მიწები, ქვიშის კარიერები, ხე-ტყე...

## ...უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ერის სიკვდილიც გარდაუვალია

4

შექმნილ სავალალო სიტუაციაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ და ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული თითოეული მამულიშვილის ვალია არ დაუშვას კათოლიკოს-პატრიარქის მისამართით ნებისმიერი ტიპის გამოხდომა და ობსტრუქცია. ასე რომ, ჭკუას უნდა მოვუხმოთ ყველამ. წარსულს ნუ დავივიწყებთ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს მომავალი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა დავაყენოთ ყველაფერზე წინ და ყველაფერზე მაღლა!

## მწერალმა ქუჩაში ნივთები გაარიგა



10

## დადიანების მუზეუმის თანამშრომლები აღარ გაიფიცებიან

5

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ნოემბერში პრაღაში დაგეგმილ შეხვედრაზე ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრებს

4

## საქართველო საერთაშორისო მასონიზმის მსხვერპლია

10



627 დევნილი ოჯახი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებს სიმბოლურ ფასად მიიღებს

2

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი

3



# დეკანოზი შალვა კეკელია — მეუფე პეტრე არის ცრუ, პატრიარქის მოწინააღმდეგე, ეკლესიაში შფოთის შემომტანი

**დეკანოზი შალვა კეკელია მეუფე პეტრეს განცხადებას ეხმაურება და მას „ცრუ პეტრეს“ და „პატრიარქის მოწინააღმდეგეს“ უწოდებს.**

„მეუფე პეტრე არის ცრუ, პატრიარქის მოწინააღმდეგე, ეკლესიაში შფოთის შემომტანი,” სიმართლის მანტიაში გახვეული“, ორპირი, მე თვითონ ვიყავი ქაშუეთის ეკლესიაში და წმიდა გიორგის ხატთან პარაკლისი გადავიხადე მომიტინგეებთან და პოლიციელებთან ერთად. 7 ნოემბერსაც და 26 მაისსაც ხალხის გვერდზე ვიყავი, ცრუ პეტრე სად იყო? მე ვიცი „ნაცების“ ფულით რეზიდენციას აშენებდა და მათ წინააღმდეგ ხმას როგორ ამოიღებდა, ახალაიებს რომლებიც მიტინგების დარბევას ხელმძღვანელობდნენ გმირებად მოიხსენიებს და ახლა გახდა ხალხის გულშემატკივარი, მანახეთ მისი ერთი განცხადება, როცა ხალხს უმოწყალოდ სცემდნენ, ასახიჩრებდნენ, ხოცავდნენ... ციხის საშინელი კადრების შემდეგ, რამაც მთელი ქვეყანა შეძრა, სად იყო „მართალი მეუფე პეტრე“, დღეს გააცნობიერა და შეინანა? სირცხვილი... მინდა „პროფესიონალ“ ჟურნალისტებს ვკითხო, ამ კითხვებს რატომ არავინ უსვამთ?. „მირჩევნია სიმართლისთვის დავისაჯო, ვიდრე ტყუილით გავმართლდე“, — აცხადებს შალვა კეკელია.

შეგახსენებთ, ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ 20 ივნისის ღამეს, რუსთაველის გამზირზე, აქციის მონაწილეების დაშლის დროს, ქაშუეთის ტაძარი დაკეტილი იყო.



# ისრაელმა ღაზას სექტორზე საჰაერო თავდასხმა განახორციელა

**ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღაზას სექტორზე საჰაერო თავდასხმა განახორციელეს.**

**„ისრაელის სამხედრო თვითმფინავებმა იერიში მიიტანეს ტერორისტული სამიზნეების ფართო სპექტრზე, მათ შორის ჰამასის საზღვაო ძალებზე, საჰაერო ძალებზე, იარაღის წარმოების ადგილზე, იარაღის საწყობებზე და ა.შ.“** — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში. მისივე განცხადებით, თავდასხმა განხორციელდა, წუხელ ღამით, ღაზას სექტორიდან ისრაელისკენ გასროლილი რაკეტების პასუხად.

ჰამასის მიერ მართული ღაზას ჯანმრთელობის სამინისტროში აცხადებენ, რომ თავდასხმის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. ორი პალესტინელის მდგომარეობა მძიმეა.

ცნობისთვის, გუშინ ღამით პალესტინამ ისრაელის მიმართულებით 10 რაკეტის გაშვება მოახდინა.

# საქართველოსა და ინდოეთს შორის რეგულარული ფრენები იწყება

**საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა იწყება. ამის შესახებ ინფორმაციას სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ავრცელებს.**



მათივე ცნობით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე ინდური დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია IndiGo (InterGlobe Aviation Limited) შემოდის. დელი-თბილისი-დელის საჰაერო ხაზზე პირველი რეგულარული რეისი კი 2020 წლის 5 მარტს შესრულდება.

„2019-2020 წლების ზამთრის სანავიგაციო სეზონის დარჩენილ პერიოდში (სრულდება 28 მარტს) ავიაკომპანია ფრენებს ყოველდღიურად, კვირაში 7 სიხშირით შეასრულებს. პირდაპირი ავიარეისები აერობუსი 320 და A321 ტიპის საჰაერო ხომალდებით განხორციელდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, ავიაკომპანია IndiGo-ს რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელების ნებართვა 2019 წლის 30 ოქტომბერს მიენიჭა“, — ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა აქამდე არ განხორციელებულა. ორ ქვეყანას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის თაობაზე შეთანხმებას 2018 წელს მოეწერა ხელი.

# 627 დევნილი ოჯახი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებს სიმბოლურ ფასად მიიღებს

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას ინფორმაციით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული 627 ოჯახი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებს სიმბოლურ ფასად მიიღებს, — ამის შესახებ მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**



„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, ჩვენ დღეს გამოვედით ინიციატივით და მთავრობამ დაგვიჭირა მხარი, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული 627 ოჯახი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ბინებს საკუთრებაში მიიღებს. ეს ოჯახები დღეს დე ფაქტო ცხოვრობენ იმ ბინებში, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო საკუთრებას, ჩვენ სიმბოლურ ფასად მათ გადავცემთ და ვუმკვიდრებთ საკუთრებაში ამ ბინებს. ეს შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე 19 დასახლებულ პუნქტს, ესაა: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, მცხეთა, დუშეთი და ა.შ. ამ გადაწყვეტილების შედეგად ადამიანები დაიმკვიდრებენ თავის მუდმივ, კანონიერ საკუთრებაში იმ ბინებს, რაც მათ ფაქტობრივად, აქვთ დაკავებული და რა თქმა უნდა, ეს მათი კეთილდღეობის მიმართულებით გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია“, — განაცხადა თურნავამ პრესკონფერენციაზე.

# აქციზის ზრდის მიუხედავად, ბიუჯეტში თამბაქოს ბიზნესიდან შესული თანხა შემცირდა, მოხმარება კი — არა

**2019 წლის 9 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტში სიგარეტიდან აქციზის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები 14%-ით შემცირდა.**



ეს მაშინ, როდესაც მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან თამბაქოს აქციზი გაიზარდა. კერძოდ, გაძვირდა როგორც ადგილობრივად წარმოებული, ისე იმპორტირებული პროდუქცია. ამასთან, 10%-დან 30%-მდე გაიზარდა ადვალური გადასახადი ფილტრიან სიგარეტზე. საბოლოო ჯამში კი, უფილტრო სიგარეტი საშუალოდ 1,1 ლარით, ხოლო ფილტრიანი — 40-50 თეთრით გაძვირდა.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-სექტემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თამბაქოს ინდუსტრიიდან ბიუჯეტში 68,4 მლნ ლარით ნაკლები შევიდა. კერძოდ, 2018 წელის 9 თვეში სიგარეტიდან აქციზის გადასახადის სახით მიღებულმა შემოსავლებმა — 490 552 455 ლარი შეადგინა, საიდანაც 451 311 285 ლარი იმპორტირებული პროდუქტიდან იყო, ხოლო ადგილობრივი წარმოებიდან - 29 241 170 ლარი. 2019 წელის ანალოგიურ პერიოდში კი, სახელმწიფო ბიუჯეტში 422 098 148 ლარი შევიდა, აქედან 388 342 020 ლარი იმპორტირებული, ხოლო — 33 756 128 ლარი ადგილობრვი წარმოებიდან იყო.

შესაბამისად, 2019 წლის იანვარ-სექტემბერში 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ადგილობრივი წარმოების აქციზის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები — 5 485 042 ლარით, ხოლო იმპორტიდან — 62 969 265 ლარით შემცირდა.

თამბაქოს ბიზნესიდან ბიუჯეტში შესული თანხების კლებას, მოხმარების შემცირებას არ უკავშრებს Act Impact. კერძოდ, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, თამბაქოზე აქციზის მომატებამ, სიგარეტის უფრო იაფფასიანი და დაბალი ხარისხის ალტერნატივით ჩანაცვლება გამოიწვია. მათივე ინფორმაციით, მწეველების დაახლოებით, მესამედი გადასახვევ თამბაქოს მოიხმარს, რადგან პროდუქტის ფასი მათთვის ხელმისაწვდომია.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ყოფილმა მწეველებმა მოწევას თავი უმეტესად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაანებეს (54.6%), ხოლო გაზრდილი ფასები ბარიერად მხოლოდ 5.3%-მა დაასახელა.

Act Impact აქციზის ზრდის კიდევ ერთ უარყოფით შედეგად ვაჭრობის შემცირებას ასახელებს.

„იზრდება გასახვევი თუთუნის რეალიზაცია, რომელიც აქციზით არ იბეგრება, რაც ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს და ქმნის მხოლოდ ილუზიას, რომ სიგარეტის მოხმარება მცირდება. 2019 წლის სექტემბერში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ 2019 აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი მილიარდ 287 მილიონი ლარია, რომელიც, 175 მლნ ლარით ნაკლებია 2019 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით. სამინისტრო აღიარებს, რომ ამის მიზეზი გასახვევი თუთუნის მოხმარების ზრდაა“, — ნათქვამია კვლევაში.

არალეგალური ბაზრისა და კონტრაბანდის გაზრდა — ეს კიდევ ერთი საკითხია, რასაც Act Impact აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, აქციზის გადასახადის უეცარი და მკვეთრი გაზრდა ხელს უწყობს თამბაქოს არალეგალური ბაზრის განვითარებას. არალეგალური ბაზარი კი ორგანიზებული დანაშაულის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო ხდება.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აქციზის გაზრდის შემდეგ არალეგალურმა იმპორტმა აზერბაიჯანიდან — წლიურად საშუალოდ 10%-ით, ხოლო თურქეთიდან 34%-ით მოიმატა. სიგარეტის კონტრაბანდაზე აღძრული საქმეების რაოდენობა კი, 2019 წლის პირველ ორ კვარტალში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 211%-ით არის გაზრდილი, ხოლო ამოღებული სიგარეტის კოლოფების რაოდენობა 148%-ით.

**ნინი ქეთელაური**

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2018 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ყოველწლიურ ანგარიშში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად, შეფასებულია საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წამყვან უწყებად დასახელდა. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.**



„დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირებისა და გამოძიების წარმოების საკითხში და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, საქართველოს ზოგადად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2018 წელს საქართველო, როგორც „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის“ დიდი ხნის წევრი, განაგრძობდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ რიგ საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე, როგორც ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირებისა და გამოძიების კუთხით საქართველოს წამყვან უწყებაზე დაყრდნობით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს შემცირდა „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი. ასევე ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეფასებით, სირიაში ან ერაყში იმყოფება ტერორისტული დაჯგუფებების მხარდამჭერი დაახლოებით საქართველოს 14 მოქალაქე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ კონტრტერორისტული კანონმდებლობის განმტკიცებისკენ მიმართული მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებასთან ერთად, ტერორიზმის გამოწვევებზე საპასუხოდ ერთიანი სახელისუფლებო მიდგომის აუცილებლობიდან გამომდინარე, 2018 წლის სექტემბერში, საქართველომ შექმნა უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარეობით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ უწყებათაშორის ჯგუფს.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაკავებულ იქნა, სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა, და სასჯელი შეეფარდა რამდენიმე პირს, 2017 წელს ქ. თბილისში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციისას „ისლამური სახელმწიფოს“ ლიკვიდირებული წევრის — ახმედ ჩატაევის მხარდაჭერისთვის. დოკუმენტის მიხედვით, თბილისსა და პანკისის ხეობაში სუს-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციების შედეგად, მოხდა რვა პირის დაკავება, რვავე მათგანი დამნაშავედ იქნა ცნობილი ტერორიზმის ბრალდებებით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, აგრეთვე, გამოიძია ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების სამი საქმე, ტერორიზმისკენ საჯარო მოწოდების და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ერთი საქმე, ასევე, ტერორისტული აქტის მომზადების ორი საქმე.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფი განაგრძობს ტრენინგებში რეგულარულ მონაწილეობას და აღჭურვას. ასევე, საუბარია 2018 წელს საქართველოში ჩატარებულ სწავლებებზე, რომლებიც მიზნად ისახავდა იმ უწყებათაშორის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, რომელთა მანდატიც დაკავშირებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს საქართველოში ტერორისტული ინციდენტები არ მომხდარა.

ანგარიშის ნაწილში „კანონმდებლობა, სამართალდაცვითი სფერო და საზღვრის უსაფრთხოება“ ნათქვამია, რომ 2018 წელს საქართველომ განაგრძო კონტრტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერება სისხლის სამართლის ნორმებში ცვლილებების შეტანით, რითაც ხელისუფლების წარმომადგენლებს მიენიჭათ მეტი უფლებამოსილება, უცხო ქვეყნის იურისდიქციასთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ახალი ცვლილებების თანახმად, გამომძიებლებს და პროკურორებს უფლება აქვთ, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დისტანციურად გამოკითხონ მოწმეები ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული პირები, მოიპოვონ უცხო ქვეყნის იურისდიქციის კონტროლის ქვეშ არსებული კომპიუტერული მონაცემები და აწარმოონ გამოძიება და ექსპერტიზა უცხო ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

დოკუმენტის მიხედვით, 2018 წელს საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები სასაზღვრო, საზღვაო და საავიაციო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით, საკანონმდებლო ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ აპრილში, საქართველოს მთავრობამ გამოსცა №174 დადგენილება, რაც ითვალისწინებს იმ სამართლებრივი პროცედურების გაძლიერებას, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს მგზავრის წინასწარი მონაცემებისა და მგზავრის სახელის ჩანაწერის სისტემების განვითარებასთან, გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2396 რეზოლუციის შესაბამისად. ასევე, მაისში, საქართველომ მოახდინა ინტერპოლის მონაცემთა ბაზების ინტეგრირება ეროვნულ სასაზღვრო მონაცემთა ბაზებში.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ 2018 წლის განმავლობაში საქართველომ გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა სომხეთისა და თურქეთის საზღვრებთან არსებულ ოთხ სახმელეთო სასაზღვრო სექტორზე. საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ სათვალთვალო და მონიტორინგის სისტემები დაამონტაჟა სომხეთის საზღვართან არსებულ სამ სახმელეთო სასაზღვრო სექტორზე. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ოქტომბერში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სანაპირო დაცვას „აილენდის“ კლასის ორი საპატრულო ხომალდი გადასცა. ასევე, საქართველოს მთავრობამ ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის ახალი დებულება დაამტკიცა, რითაც განახლდა ინფორმაციის გაცვლის წესები და პროცედურები.

ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ჩაატარა ხარისხის კონტროლის 23 ღონისძიება, მათ შორის საინსპექციო შემოწმებები, აუდიტები და ფარული შემოწმებები.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში, ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო არის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მსგავსი რეგიონული ორგანოს — ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) წევრი.

საქართველოს საფინანსო სადაზვერვო დანაყოფი — ფინანსური მონიტორინგის სამსახური (FMS)წარმოადგენს ეგმონტის ჯგუფის (Egmont Group) წევრს.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2018 წელს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მოამზადა და მთავრობას შესათანხმებლად წარუდგინა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ახალი კანონპროექტი.

გარდა ამისა, 2018 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ, ასევე, წარადგინა 15 შუამდგომლობა 130 ფიზიკური და 30 იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის დადების და 1 ფიზიკური და 19 იურიდიული პირის ქონებიდან ყადაღის მოხსნის მოთხოვნით. ამასთან, კომისიამ განახორციელა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რამდენიმე რეზოლუციის იმპლემენტაცია, რაც დაკავშირებული იყო იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების დაყადაღებასთან, გადაადგილების აკრძალვასა და იარაღზე ემბარგოს დაწესებასთან, რომელთა მიმართ არსებობს ტერორიზმში ჩართულობის ვარაუდი.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით დოკუმენტში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო გამოძიება ტერორიზმის დაფინანსების ორ საქმეზე. ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა 25 ფინანსური ინსტიტუტის ადგილზე ინსპექტირება, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესების ეფექტურობის შეფასების მიზნით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ ასევე ჩაატარა ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, რომლებშიც ჩართული იყო საქართველოს სამთავრობო სექტორის 120-მდე მონაწილე.

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2018 წელს, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ძალისხმევას ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის კუთხით, მოწყვლად მოსახლეობასთან მიმართებით საგანმანათლებლო, სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის, მედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გენდერული საკითხების, უმცირესობათა კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების, მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი ღონისძიებების, და სოციალურ და რეგიონალურ ინტეგრაციაზე მიმართულ ინიციატივებზე ორიენტირებით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, საქართველომ განახორციელა „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს“ პროექტი, რომელიც, მათ შორის, მიზნად ისახავს სკოლებში რადიკალიზაციისა და ტერორიზმის პრევენციას. საქართველომ, ასევე, გამართა რიგი ტრეინინგები და კონფერენციები ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, რელიგიური შემწყნარებლობის და ასევე, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით.

დოკუმენტის მიხედვით, 2018 წელს, საქართველოს მიერ შემუშავებულ იქნა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლად თემებში ტერორისტული რადიკალიზაციის ძირითად, შესაძლო გამომწვევ ფაქტორებთან გამკლავებას, მათ შორისაა მცირე გრანტების პროგრამების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც საქართველომ 2018 წელს შვიდი გრანტი გასცა პანკისის ხეობაში. საქართველომ, ასევე, მიიღო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი ტრენინგები, რომლებიც ჩატარდა იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, მათ შორის ეფექტური სამართალდაცვითი ტექნიკის, სისხლისსამართლებრივი დევნის სტრატეგიების, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრამების უპირატესობების, ციფრული გამოძიებისა და ანალიზის, ეფექტური ელექტრონული და სხვა ფარული თვალთვალის ტექნიკის, „ალ-ქაიდას“, „ისლამური სახელმწიფოს“, „ისლამური სახელმწიფო-იემენის“ ან არაბეთის ნახევარკუნძულზე „ალ-ქაიდას“ პროპაგანდის მხრიდან მომავალი საფრთხეების, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, საბრძოლო მოქმედებების ადგილზე მოპოვებული მტკიცებულებების და „ისლამური სახელმწიფოს“ დაბრუნებული მებრძოლების თაობაზე.

საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობის კუთხით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო აქტიურად არის ჩართული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში საერთაშორისო, რეგიონალურ და ორმხრივ დონეზე. ასევე, ნათქვამია, რომ საქართველო, მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-სთან, ევროპის საბჭოსთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის და მოლდოვას ორგანიზაციასთან — სუამ-თან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2018 წელს, საქართველომ ევროპოლთან ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე, და მარტში — მეკავშირეობის შესახებ შეთანხმებას, რაც ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხების გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. დოკუმენტის მიხედვით, 23 ქვეყანასა და ევროკავშირთან უკვე არსებულ შეთანხმებებზე დამატებით, საქართველომ საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებები, ასევე, გააფორმა ალბანეთთან, მოლდოვასა და იტალიასთან, ხოლო გერმანიასა და ბელარუსთან დადებული აქვს მსგავსი შეთანხმებები“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.



ზურაბ კვარაცხელია

# ...უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ერის სიკვდილიც გარდაუვალია

**კოლხ-იბერნო!**

არიან ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ ჩემი აზრი და დამოკიდებულება ამ ბოლო დროს საპატრიარქოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ვინაიდან, არც დრო მაქვს და არც სურვილი ყველას სათითაოდ ვუპასუხო, შევეცდები ჩემი პოზიცია საჯაროდ მკაფიოდ გამოვხატო.

უწინარესად ვიტყვი, რომ საქართველოს უახლოესი ისტორია არათუ კარგად ვიცი, მეტიც, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში განვითარებული პროცესების აქტიური მონაწილეც ვარ. არ მიყვარს საკუთარ პერსონაზე საუბარი, მაგრამ ამ სავალალო პროცესებს როგორც ქვეყნისთვის, ასევე პერსონალურად ჩემთვისაც უბედურების მეტი არაფერი მოუტანია!

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ იმ ავადმოსაგონარი პუტჩის შედეგია ის ყველაფერი, რასაც წლებია ვიმკით და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენი უძველესი ერი და ქვეყანა დიდი ალბათობით, შესაძლოა, კაცობრიობის ისტორიის ასპარეზიდან საერთოდაც გაჰქრეს!

ცხადია, ჩემთვისაც ცნობილია კრიმინალური გადატრიალების პერიოდში საპატრიარქოს უაღრესად ნეგატიური როლი. საბედნიეროდ, ამნეზიით არ ვარ დაავადებული და ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს, მაგრამ, არის ერთი მაგრამ: — აშკარაა, რომ ბოლო დროს სამოციქულო ეკლესიაზე ინსპირირებული ტოტალური შეტევაა! აშკარაა, რომ ეს შეტევა ხორციელდება არა სპონტანურად, არამედ გეგმაზომიერად. როგორც ჩანს, მსოფლიოში არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობების დისკრედიტირებას. სამწუხაროდ, ამ ძალებმა ეკლესიაშიც შეაღწიეს და ისინი ლამობენ მის შიგნიდან აფეთქებას. ის ძალები ეკლესიის შიგნით ძირითადად ეყრდნობიან სამღვდელობის ე. წ. ლიბერალურ ფრთას.

ბოლო დროს განვითარებული პროცესების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ე. წ. ლიბერტალიანელებს საქართველოში მზაკვრული მიზნის განხორციელებაში აბრკოლებთ კათოლიკოს-პატრიარქი. როგორც ჩანს, ისინი მოხუცებული პატრიარქის გარდაცვალებამდე ვეღარც ითმენენ და სურთ მისი ცოცხლად და მორალურად მოკვდინება. ეს დაუშვებელია! დაუშვებელია, რადგან უაღრესად ტრაგიკულად აისახება ჩვენი ერის და სამშობლოს მომავალზეც. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ერის სიკვდილიც გარდაუვალია.

შექმნილ სავალალო სიტუაციაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ და ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული თითოეული მამულიშვილის ვალია არ დაუშვას კათოლიკოს-პატრიარქის მისამართით ნებისმიერი ტიპის გამოხდომა და ობსტრუქცია. ასე რომ, ჭკუას უნდა მოვუხმოთ ყველამ. წარსულს ნუ დავივიწყებთ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს მომავალი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა დავაყენოთ ყველაფერზე წინ და ყველაფერზე მაღლა!

კურცხას, კოლხ-იბერეფი! კურცხას!..

**ზურაბ კვარაცხელია**



# ზუგდიდის მერიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

**მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის, ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისებისა და ზედამხედველობის სამსახურებს ახალი უფროსები ჰყავთ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი შენგელიამ იდა ქვარაია, მიხეილ ჭკადუა და გიგა მელია დღეს თანამშრომლებს წარუდგინა.**

კერძოდ, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსად იდა ქვარაია დაინიშნა. ადრე ამ პოზიციაზე რუსლან კილასონია მუშაობდა.

ის 2014 წლიდან 2017 წლამდე მუშაობდა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპლიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად, 2017 წლიდან 2019 წლამდე იკავებდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას. იყო ზუგდიდის გამგეობაში სხვადასხვა პოზიციაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მიხეილ ჭკადუა დაინიშნა. ის ზუგდიდის რესურსცენტრში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა პრივატიზების სამხარეო სამმართველოში, იურიდიული განყოფილების უფროსად შპს „ტექნო გრუპში" და იურისტ-კონსულტანტად შპს „ტექნო გრუპში".

რაც შეეხება ზედამხედველობის სამსახურს, მას გიგა მელია უხელმძღვანელებს. ის 2017 წლიდან დღემდე მუშაობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსად. უფრო ადრე, გამგეობაში იყო ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ასევე, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მზის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსად მუშაობდა. მანამდე ამ პოზიციაზე ლაშა ჯაიანი მუშაობდა, რომელმაც თანამდებობა შარშან დატოვა.

აგრეთვე, ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად ირმა ქირია, რუხის ადმინისრტრაციულ ერთეულში კი მერის წარმომადგენლად რუბენ ლუკავა დაინიშნა.

მერიაში ამბობენ, რომ ეს ადამიანები ღია კონკურსის წესით შეირჩნენ.

მიხეილ ჭკადუა ერთ-ერთია, რომელიც მერის ანგარიშის პრეზენტაციაზე ახსენა ფრაქცია ენმ-ის თავმჯდომარე ანა წითლიძემ, როცა გიორგი შენგელია ნეპოტიზმში დაადანაშაულა. მისი თქმით, ჭკადუა მერის ახლო მეგობარია.

# ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ნოემბერში პრაღაში დაგეგმილ შეხვედრაზე ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრებს



**რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ნოემბრის ბოლოს, პრაღაში გასამართ შეხვედრაზე რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხს დააყენებს.**

როგორც აბაშიძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, როდის შეიძლება აღდგეს ავიამიმოსვლა, ამის შესახებ ნოემბრის ბოლოს, პრაღაში გამართული შეხვედრის შემდეგ მეტი ინფორმაცია გახდება ცნობილი.

„პრაღაში ჩვენ განვიხილავთ სატრანსპორტო კომუნიკაციებთან დაკავშირებულ თემატიკას, მათ შორის საავიაციო მიმოსვლის სხვადასხვა პრობლემებს და ამჯერადაც, დიდი ალბათობით ამ თემაზეც გვექნება საუბარი. რა სახით და როგორ, ეს მოგვიანებით გვეცოდინება. ის, თუ როდის შეიძლება აღდგეს ავიამიმოსვლა, კონკრეტული ინფორმაციისაგან თავს შევიკავებ. ნოემბრის შეხვედრის შემდეგ უფრო ვიქნებით მზად ამ საკითხზე დეტალურად სასაუბროდ.

ჩვენ ბოლო შეხვედრა გვქონდა ივნისში, ივნისის შემდეგ ქართულ კომპანიებს ბევრი პრობლემა და საკითხი დაუგროვდათ განსახილველად. ჩვენ ყოველი შეხვედრის წინ ვხვდებით ამ კომპანიების წარმომადგენლებს, უწყებებს, რომლებსაც შეხება აქვს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, გავდივართ თემებს და შემდგომ ამ საკითხებს განვიხილავთ პრაღაში, ვცდილობთ მათ მოგვარებას და ამჯერადაც ასე გავაკეთებთ", — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, რუსეთის დელეგაციასთან შეხვედრაზე ასევე იქნება საუბარი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობაზე და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

„მიუხედავად იმისა, რომ პრაღის ფორმატში არ არის ამ საკითხების განხილვა გათვალისწინებული, ეს არის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პრეროგატივა, ჩვენ ყოველი შეხვედრის წინ ვაკეთებთ განცხადებებს ჩვენი ინიციატივით. ვსაუბრობთ იმ რთულ ვითარებაზე, რომელიც შექმნილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევაზე, ჩვენი რეგიონების მილიტარიზაციაზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე რაც ხდება საოკუპაციო ხაზთან. ამჯერადაც მოგვიწევს ამაზე საუბარი. ყოველთვის, ყველა ფორმატს ვიყენებთ იმისთვის, რომ ეს მწვავე საკითხები წამოვწიოთ", — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" აბაშიძემ.

# რა იცვლება მოქალაქეების ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესში — კანონში შესაძლოა, ცვლილება შევიდეს

**დასაქმებულის მიერ ზეგანაკვეთური შრომის პირობები და ანაზღაურება შესაძლოა შეიცვალოს. ამის შესახებ კანონპროექტი უკვე პარლამენტშია დარეგისტრირებული.**

კერძოდ, პროექტის მიხედვით, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის — კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის — კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის — კვირაში 24 საათს აღემატება.

ამასთან, დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, დასაქმებულისთვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 60 საათს. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის — 42, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის — კვირაში 28 საათს.

რაც შეეხება ანაზღაურებას, როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა ის არანაკლები ხელფასის საათობრივი განაკვეთის 50%-ით გაზრდილი ოდენობა უნდა იყოს.



„მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დამატებებითი დასვენების დრო დასაქმებულს უნდა მიეცეს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე შეთანხმებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

ამასთან, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებაზე მხარეები უშუალოდ ყოველი ასეთი სამუშაოს წინ მაქსიმუმ 1 კვირით ადრე უნდა შეთანხმდნენ წერილობით, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც ასეთ შეთანხმებას შეუძლებელს ხდის", — აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

ეს წერილი რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. წერილში ნათლად არის აღწერილი თუ ვინ იყო და რას ჩადიოდა მარტვილის რაიონში აწ უკვე ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე (პაატა) ცაავა. დღეს, როდესაც გადაყენებული მიტროპოლიტის უსაქციელობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს მისი ქმედებების შესახებ, განსაკუთრებით მათ, ვინც ფიქრობს და იმუქრება, რომ არეულობას სამეგრელო დაიწყებს.

მეგრელი ხალხი ბრძენია — საქართველოს პატრიარქს, ეკლესიას და სახელმწიფოს ზიანს არასოდეს მიაყენებს.

# რუხი მიტროპოლიტი



**უკვე რამდენიმე კვირაა, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაპირისპირება ყბადაღებულ თემად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ცდილობენ, ამ თემაზე საუბრისგან შეძლებისდაგვარად თავი შეიკავონ, სინოდში განხეთქილება საზოგადოების განხილვის თემაა. ახალი ამბავი არავისთვის არის, რომ არიან მეუფეები, რომლებიც საჯაროდ უპირისპირდებიან საქართველოს პატრიარქს და მხარს უჭერენ ე.წ. ლიბერალურ ძალებს. ზოგიერთ ეპარქიას ხელმძღვანელობენ ისეთი პირები, რომლებსაც ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ფოტოები დღემდე აქვთ გამოფენილი საკურთხეველში. მარტვილის ეპარქიიდან დაგვიკავშირდა ბერი, რომელმაც ჭყონდიდის მონასტერში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა, მაგრამ ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა და გვთხოვა, ამ პრობლემებზე სასაუბროდ სოფელ სალხინოს საკრებულოს წევრ გია ჯეჯელავას შევხმიანებოდით.**

**— ბატონო გია, რა ხდება მარტვილის ეპარქიაში? რატომ გაურბის მრევლი მეუფე პეტრეს?**

— XI საუკუნის უდიდესი მონასტერი სრულიად გადაკეთებულია, მიწა — ჩამოჭრილი. ეზოში აშენდა შენობა, რომლის დანიშნულებაც ჩვენთვის, ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მრევლისთვის, უცნობია.

მარტვილი მეუფე პეტრეს შპს-დ იქცა — შეუვალია, დახურული და მისი ნებართვის გარეშე თითსაც ვერავინ გაანძრევს. ჭყონდიდის მონასტერში წვერიანი ბიზნესმენები გაჩნდნენ, იქ მრევლისა და მორწმუნე ხალხის ადგილი აღარ დარჩა.

წვერიანთა ხელშია მიწები, ქვიშის კარიერები, ხე-ტყე...

**— მარტვილს თვითმმართველობა ხომ ჰყავს? ადმინისტრაცია არ მუშაობს?**

— მარტვილსა და აბაშას ადმინისტრაცია არ ჰყავს, მეუფე პეტრე ამ ორ რაიონს სრულად აკონტროლებს. მის ხელშია ტრაქტორები, მიწების დახვნა, მისია ოჯალეშის ჯიშის ვენახები. სააკაშვილმა გადასცა ერთ ლარად კოლმეურნეობა, სადაც ახლა სასტუმროებია. მეუფეს ეკუთვნის ყველა შენობა–ნაგებობა, რომლებიც კი ამ ორ რაიონში არსებობს.

ჭყონდიდის ეპარქიიდან 17 ბერი გაიქცა. ყველა, ვინც მეუფე პეტრეს არ ემორჩილება, განწირულია. ერთ-ერთი ბერი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მან წვერი გაიპარსა, ცოლი შეირთო და ეკლესიას ახლოსაც აღარ ეკარება. ენით გამოუთქმელი საშინელებები ხდება.

მთელი ჩემი ოჯახი მორწმუნე იყო, ან როგორ შეიძლება გიორგი ჭყონდიდელის მშობლიურ კუთხეში ცხოვრობდე და მორწმუნე არ იყო, მაგრამ დღეს მარტვილის ეკლესიისკენ აღარც კი ვიხედებით.

გარდა ამისა, მეუფე პეტრე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდება და ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში გაჩუმება ღალატის ტოლფასია.

**— ადგილობრივები ამბობენ, რომ მეუფე პეტრე წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ უდიდეს სიმპათიას იჩენს და წინასაარჩევნოდ მრევლს ნაციონალების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა....**

— დიახ, ეს ცნობილი ფაქტია. მეუფე პეტრე სააკაშვილის მხარდამჭერია. წინასაარჩევნოდ დავუპირისპირდით — პირდაპირ განვუცხადეთ, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის და ჯობია, მრევლს მიხედოს. ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარს სააკაშვილის ფოტო საკურთხეველში ეკიდა. უფრო მეტიც, სალხინოში, დადიანების სახლ–მუზეუმში მალავდა ძებნილ ძმებ ახალაიებს.

მეუფე პეტრემ ჭყონისა და ტეხურის დამაკავშირებელი 60-ტონიანი ხიდი დაჭრა და ჯართად გაყიდა, შემდეგ კი გამოგვიცხადა, ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჩავაწყე საქმეო. ჩვენი დაპირისპირებაც აქედან დაიწყო. წყლის პირას ისეთი ჩხუბი მოხდა, მეგონა, ძველი ბიჭები იყვნენ. დაჭრა და გაანადგურა სოფლის სასაფლაოს მიწები, მათი სრულად ათვისება უნდა. აშენებს შენობებს, არ ვიცით, რა დანიშნულებით. გვეუბნებიან, მორჩილები გვყავსო, მაგრამ ძალიან საეჭვოა.

**— ვინ მფარველობს ამ კაცს?**

— ნაცების მმართველობის პერიოდში ვიცოდით, რომ სააკაშვილი წყალობდა ძალიან, სანდრა რულოვსის კარის მოძღვარია, მაგრამ დღეს ვინ აძლევს ასეთ განუსაზღვრელ ძალაუფლებას, ნამდვილად არ ვიცი.

**— ამჟამად რა ვითარებაა, ანუ მას შემდეგ, რაც მეუფის საქმეები გამოაშკარავებულია, რას ამბობს ადგილობრივი მრევლი?**

— ყველას ეშინია. ხომ გეუბნებით, განუსაზღვრელია მეუფე პეტრეს ძალაუფლება. მას შეუძლია, ნებისმიერი დანაშაული დაგაბრალოს და ისეთი გავლენა აქვს, “ბრალდებაში” ეჭვს სამართალდამცავებიც არ შეიტანენ — როგორი მართალიც უნდა იყო, დანაშაული მაინც შენ დაგბრალდება. ასე იყო ადრე, ასეა დღესაც.

მეუფე პეტრეს ყველაფერი თავისი საკუთრება ჰგონია. აბაშის გამგებელი ძალიან წუხს, გამოსავალს ვერ პოულობს. მეუფე პეტრე ერისკაცობაშიც ცუდი კაცი ყოფილა. საშინელებებს ყვება ხალხი, — უდიდეს აფერებში იყო გახლართული და მერე ეკლესიას შეაფარა თავიო.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები ყველა მეუფემ ჩაიგდო ხელთ. მის გარეშე თანამდებობაზეც ვერავინ დაინიშნება. სანამ კაცს სადმე დანიშნავენ, მეუფესთან უნდა გაიაროს კონსულტაცია. მეც დამიბარეს, მაგრამ არ მივედი. მოგვიანებით შევიტყვე, ჩემზე უთქვამს, ახალგაზრდა კაცია და ასე რამ გააბოროტაო. დედის საფლავი დამირბია და როგორ არ გავბოროტდები.

იბრძვის მეუფე პეტრე ძალაუფლებისთვის, თავი პატრიარქად წარმოუდგენია უკვე. ზომები აუცილებლად გასატარებელია, მაგრამ არ ვიცი, როგორ. ამას წინათ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მასზე სიმართლე დაწერა, მერე შეხვედრია და არაქალი უწოდებია მისთვის.

უფლის სახელით გველაპარაკება, ეს კი ხალხს აშინებს.

მე კი, ვფიქრობ, სიმართლისათვის უფალი არ დამსჯის და ამიტომ არ მეშინია, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ძალიან, ძალიან გამწვავებულია ვითარება მარტვილში.

**ცნობისთვის:** ჭყონდიდის ეპარქია მოიცავს მუნიციპალიტეტებს: მარტვილს, აბაშასა და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიის საკათედრო ტაძარი მარტვილში მდებარეობს. ქრისტიანობის ქადაგებას ამ მხარეში წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს მიაწერენ.

პირველი ეკლესია წმინდა მოციქულს ეგრისში მუხის ხის (მეგრულად—„ჭყონი დიდი”) მასალისგან აუგია. გადმოცემით, სახელწოდება „ჭყონდიდი” სწორედ აქედან მომდინარეობს.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**



# დადიანების მუზეუმის თანამშრომლები აღარ გაიფიცებიან

**დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომლებმა გაფიცვა გადაიფიქრეს. დღეს მათ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ, რომლებსაც ადგილზე გააცნეს პრობლემები და დახმარების პირობაც მიიღეს.**

მუზეუმის ექსკურსიამძღოლმა ნანა აბულაძემ „ლაივპრესს“ უთხრა, რომ ისეთი შთაბეჭდილებით დაშორდნენ, ფიქრობს „ყინული დაიძრა“.

კულტურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თეა ონიანმა მათ უთხრა, რომ პრემიერისგან მიიღეს დავალება და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, 2020 წლის ბიუჯეტში ზუგდიდის მუზეუმის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება აისახოს.

**„გვითხრეს, რომ მთავრობამ უნდა მოიძიოს დამატებითი სახსრები. იმედიანად დავშორდით. მთავარი ის არის, რომ პრობლემა პრემიერის და კულტურის სამინისტროს წინაშე დგას და საკითხზე მუშაობენ. ეს იყო მთავარი და ეს გაკეთდა. ჩვენ ვუთხარით, რომ თუ რაღაც... სხვა გზასაც ვიტოვებთ და გვიპასუხეს, მგონი საჭირო არ იქნებაო“,** — აცხადებს ნანა აბულაძე.

მისი თქმით, სწორედ ამიტომ, პირველი ნოემბრიდან დაანონსებული გაფიცვა აღარ შედგება, რადგან მუზეუმის თანამშრომლები შეთანხმდნენ, ხელისუფლებას მისცენ ვადა პრობლემის მოსაგვარებლად.

შეხვედრას კულტურის მინისტრის მოადგილე ბადრი მაისურაძე, ზუგდიდის მერის მოადგილე კონსტანტინე კაკავა და სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა დაესწრნენ.

რამდენიმე დღის წინ, ზუგდიდში მყოფ პრემიერ-მინისტრს მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ელზა ზოდელავა შეხვდა, რომელმაც მთავრობის მეთაურს დახმარება სთხოვა. მაშინ გიორგი გახარია დაჰპირდა, რომ თხოვნაზე რეაგირება იქნებოდა.

მუზეუმმა კულტურის სამინისტროსგან წერილი 24 ოქტომბერს მიიღო. მასში საუბარი გარდა იმისა, რომ მუშაობდნენ საკითხზე, შეეხებოდა დაფიანსების კერძო სექტორისგან მიღების საჭიროებაზე და დამატებითი შემოსავლების გაჩენის აუცილებლობაზე, რაც საბოლოოდ ხელფასების ზრდაზე უნდა ასახულიყო.

მუზეუმის თანამშრომლები დაბალი ხელფასების გამო ჩივიან. ისინი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირველი დღიდან გაფიცვით იმუქრებოდნენ.

# მუხროვანის ბაზაზე ინფრასტრუქტურული პროექტები იწყება

**ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილი ნატოს სტანდარტების საყაზარმე სისტემით მოეწყობა, — ამის შესახებ თავდაცვის სამინისტრო აცხადებს.**

მათივე ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, ახალი ყაზარმების გარდა, ტერიტორიაზე სპორტული დარბაზები და საცურაო აუზი განთავსდება. მუხროვანის ბაზას ყველაზე დიდი სასროლეთიც ექნება. თავდაცვის მინისტრი საპროექტო-სამშენებლო ლოკაციებს ადგილზე გაეცნო. კაპიტალური მშენებლობებია დაგეგმილი პალდოს საწვრთნელ ბაზაზეც.

„ირაკლი ღარიბაშვილმა მე-20 კადრირებული ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს გააცნო ის სიახლეები, რისი განხორციელებაც თავდაცვის ძალებში უკვე დაიწყო; სამხედრო უნიფორმის, კვებისა და სრული ეკიპირების განახლება, ყველა ყაზარმის კაპიტალურად გარემონტება, სასადილოებისა და სველი წერტილების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, სამხედრო ბაზების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და კომუნიკაციების გამართვა - ეს არის არასრული ჩამონათვალი გეგმიდან, რომელსაც თავდაცვის მინისტრის ხედვა გულისხმობს“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ბჭარათ დო ბრაგადუათ

### ჯგირეშა, ნანა, სქან სიზმარი

— ღუმა სიზმარ<sub></sub> მილუდუნი,
მუშა უჩქუ დიაჩქიმი?
— ჯგირშა, ნანა, სკან სიზმარი.
— უჩა ყორანә ღორანდუნი,
მუშა უჩქუ, დიაჩქიმი?
— ჯგირშა ნანა, სკან სიზმარი.
— უჩა მოზვერә ღორანდუნი,
მუშა უჩქუ, დიაჩქიმი?
— ჯგირშა ნანა, სკან სიზმარი.
— ჯას ფურცელქი გენკოლუ,
მუშა უჩქუ, დიაჩქიმი?
— ჯგირშა ნანა, სკან სიზმარი.
—ალვიშә კიბექ ეკირთუნი,
მუშა უჩქუ, დიაჩქიმი?
— ჯგირშა ნანა, სკან სიზმარი.
— წყარს კიდობან მეღუდუნი,
მუშა უჩქუ, დიაჩქიმი?
— ჯგირშა ნანა, სკან სიზმარი.
უჩა ყორანә ღორანდუნი —
თინა ორდუ დიასქანი,
უჩა მოზვერә ღორანდუნი —
თინა ორდუ მუასქანი,
ჯას ფურცელქә ქუდოცუნი —
თინა ორდუ თუმა სკანი,
ალვიშә კიბექ ეკირთუნი —
თინა ორდუ ტანი სკანი,
წყარს კიდობანә მეულუდუნი —
ინა ორდუ კუბო სქანი.

### მაფშალია მეგალობე

მაფშალია მეგალობე,
მაზირეთ მოკოდ მობრდიკონი,
ოქროს კოლოფ მა მილუდუ —
კილათ ოკო ვონჯიკონი,
იშა ვარდი ალამძუდუ,
ბაღჩას ოკო დობრგიკონი,
ინა მათი ვამიხომუდ,
მა სი ქოგიცორდიკონი.

### ენა სი მუშენ ვაგიჩქუ

ენა სი მუშენ ვაგიჩქუ
აკაბუცხა, აკა წილი
კოჩიშ გური ჭირქა ორე
დუდშა წყარით ეფშაფილი,
ექ შხვა მუთუნ ვენიტირე
უკულგ ინოცოთამილი,
თეშ კოჩიშ გურს ვედგლენტირე,
მახა, ბრელი ცოროფილი.

### ცოროფილიშә ლერსი

ქომირჩქილი, სქანი ჭირი,
გაჭირებას ბჭარუნქინი,
ართ თუთა რე მიკულირი
დებლახი დო ბჯანუქინი.
დობლური დო თეში ვორექ,
დიხას ვავობარუქინი,
გაჭირება თენა ორე,
კოც თეცალი შეხვადუნი.
ჩქიმი დუდიშә გაჭირებაქ
ჩქიმი გურცუ დებადუნი,
მითინიში ბრალი ვარე,
ორე მუში ნებათუნი,
გიჩქუდას, უჯგუში რე
გვალას დუდი მებკვათუნი,
თქვათი ქიგეცოდებუთი,
ამბე ჩქიმი შეტყვათუნი,
ნოტე, სქანი სინთელეთი,
შურო ვაგიჩინენდიკო,
გაჩემებულә თოლეფითი
შორშე ვაგიჯინედიკო,
ქობხვადუ დო ქომილუდას,
ცუდეს ქუდომტირედიკო!

### დუდიშә ჭუათ ქიდებლახი

დუდიშә ჭუათ ქიდებლახი
ჭვილი კვირკვეს გათებას,
დოხთურეფი მოულან დო
მირაგადგნა ანთებას.
ართ დოხთურქუ გადმეკიდუ,
კითხვას მარძენს ართისია:
ბოში ნორცოროფუე დო
დუუცვილუქ აზრისია,
წამალ მუთუნს ვაგოხვარგ,
ტყურათ ორწყექ ხარჯისია.

### სქანә ცოროფა ჩქიმი გურსუ

სქანә ცოროფა ჩქიმი გურსუ
დულაცალო ალაფუნსუ,
დღაშით ვამორინუანს,
სერით ვამარზენსუ ლურსუ,
ვოხექინი — ალამიხე,
გილურქუნი — გილაპუნსუ.

### ართი ვარდი ქომიჩანს

ართი ვარდი ქომიჩანს,
მუჟანს დიჭყანს პირუას?
ჰანდარქ ვამაჭიშუას,
სუნჯიქ ვადაჟღირუას.
ბრელ ტერეფი აპირენს
თე ვარდიში წილუას,
ტერეფიში ჯინიშენი
ღორონთქ ქგარზინუას.

### ჩქიმი ცოდა ულუდას

ჩქიმი ცოდა ულუდას,
მიდგაშә დაჩხირә მა ბჭუნსუნი,
ნანა, მუში მანწარა რე,
გიცორსგ დო ვარცუნსუნი,
ხოლო უფრაში თინა ორე,
ელუქუ დო ვამურსუნი,
გვალო დუდიშә ოცვილარი —
ჯანუქ დო ვარლურსუნი;
გელგდინი, აქ ვარძირი,
გიბჯინინი, ვამოურქუ,
გიმაჯოგგ ირკოჩქ ართო,
ჩქიმიანә დო შხვაში თურქუ,
მიდგარენქ ქაწმალანდ
ხორხოტაშა ქგმორთ შურქუ,
გიბჯინი დო ამარ ქობძირ,
ქგმორთ არძაშә ოსხუნურქუ.

### დიიბჭვი დო დიიფხალი

სახელი მზია ბჯოხო დო
დარსანია მილუ გვარი,
ქიანას მითა ოკათ
გაჭირებულә ჩქიმიცალი.
დიიბჭვი დო დიიფხალი,
მონტუ დაჩხირიში ალი,
მაკითხეშა მიდავრთინი —
მიწის ცოროფაში ბრალი.
აბა, ბოში, ვადობჭვა დო
ვამიწუა თეში ვარი,
ნტერი ვაგომძიცინუა,
გურშა ვაგომირზა ალი…
ბრელә ბოშეფი ბძირი, მარა
მუთა ბძირი სქანიცალი,
თოლი გვირა, პიჯი — სქვამი,
ლარჭემიშა გიგუ ტანი,
უბედური სქანә ელბალი —
ჩქიმი ეკადინაფალი.

### აშო, ბოში, სკანი ჭირი

აშო, ბოში, სკანი ჭირი,
სი ჩქიმә ოჟღვარტალაია,
სკანә მენდულსგ მუშოთ ოკო,
დიდი ოდა, სარაია.
ოდო იშო დობჭვათი დო
ქიგიბლობათ კარაია,
ზაფხულობით გილაბრთათ დო
იბტიბუათ ჩხანაია.

### შურქუ მენტუ

შურქუ მენტუ, გურә ვამილუ,
მონტუ დაჩხირიში ალი,
უსქანობა მაწუხენსგ,
ტანს ვამილუ შურო ძალი.
სი ქიფიქრი, მუ მარდიე,
სქანә დაჩხირი მა ბჭუნდასი,
სქანი თოლიშә გეჯინაშა
ღურა ქუმონატრუდასი.

### სქანდა ორაგადე მილუ

სქანდა ორაგადე მილუ,
ართი, ჟირი, სუმი ნინა,
გიწუენი — ქგმოშქურუ,
ვაფთქუენი — მუ ფქიმინა.
სქანდა პასუხ მიაჩენი,
სიცოცხლე რე თიში რინა,
სქანი თოლეფს ქობძირგნქგნ,
ართი ტკუსუ ქიმიბძინა,
ქიმეცოროფә, გიჩქგდასგ,
სქანდა ვადმათხინე, ცირა!

### ცოროფა რე ოში ნერი

ცოროფა რე ოში ნერი
ძლაბ დო ბოშიშ ქორჩქინელი,
ცოროფაში ჭვილი კოსი,
ვოულ მუთუნიში მადა,
ექიმეფშე დათხულიე —
ულუ ვითოხუთიშგ ვადა.

### ცოროფა რე დიდი წარე

ცოროფა რე დიდი წარე,
ცაშა მეურს, შურგ მეუმბარე,
ცოროფა რე ჩხე დო ჩხურუ,
ეს მუს მეხვად ცვერე, ცურუ,
ქგმეუხვადდა, ჯგირი მარა,
ვემეუხვადდა, კოჩ დოლურუ,
ცოროფას ვოუჩქარა,
ცოროფა რე ოშინერი,
ღორონთიში გორჩქინელი.

### შურә დო გური მეწუხებუ

შურә დო გური მეწუხებუ,
ვაგორწყექი ირი დღასი,
თოლს სინათლექ მემიდინუ,
თუთას ვავორწყექ დო ბჟასი,
ბჟაშә სინათლე მუშოთ მოკო,
სქანә დუდ ქომიტიბუდას,
სქანә ძირაფას ველირსებუქ,
უკული ვავღურუქი დღას.

### ადამატი მიჩქგდი

ადამატი მიჩქგდი დო,
რკინათ გინიმართიო,
სქან დო ჩქიმი ურცხუ გური
შქაშა გომიკვათიო,
ჩქიმიდინი მიჩქუდგ დო
შხვაშო გინიმართიო,
ირკოჩიშო გგნორთექგნი,
ბოში, გვალო წართიო.

* * *

სრულ ცოროფას ღურა უჯგუ,
მისით გურშა ინულენც,
ცოროფილი ცოროფას
გოსოფუნს ჩხოროფათ,
ქიანა ქიჭუუდასუნი,
გემნიცუნანს ჭოროფას,
ბჭუნს, ბკგრგნს,
ბდგვარდგვალანც,
წამალი მუ რე იცუაფუ,
ჯიმალურელ, მუდგარენი,
ჩქიმი ღურას ანჭუაფუ…

### ჭვილ ვაფუქუ ცოროფას

ჭვილ ვაფუქუ ცოროფას,
ვავორექგ ჩქიმი ხუცუ,
სქანი გეშა სერსგ პტახგ
დო ონდღეშა გგთობლურსუ.
მი რე მიდამილანცგნი
ჩქიმი თოლიშ ოსხუნურსუ.
ჩქიმი ღურუქ ვაპილგდა,
ჩქიმ ხეთ დიპილ ჩქიმი დუცუ.
შურსუ ღორონს შებწირე დო
გოგილუა ჩქიმი დუცუ.
კინოხ მისგთ უძირგქგნ,
ასე თისგ ვავოგუქგ,
კეტის იბხვარუა, ვარა
ჩქიმი ღონეს ვავონდუქგ…
ოჯახის ვაწუხე დო
ხალხიწკგმა ვავოჩქგქგ,
სქანი პირველ ძირაფაქგ,
გაკოძანძ ჩქიმი გური,
კურცხე ვორდე მოკოდასი,
გინობრძალენს ხათე ლური.

### ბოშგ, ბარათის მეგიჯღონა

ბოშә, ბარათის მეგიჯღონა,
მალალარქგ ვამაშუ,
სქან აზრი დო გონებაქ
დოპილგ დო გამათუ,
გურსგ ბრელი მიჭირს, მარა
აკაქ სქანდა ვამათქუ.
სქანი დუდიქ ორაგადეთ
მა დიო დღა ვამაშუ..
მა ჩქიმә ცუდეს ვოჯანუქ
სქანә ცოროფაშә გურә ლახირი,
გურქ დოშქგრტგ, ვორექ ძორი,
თეს ვარწყენო სქანი თოლი?
ახ, ცოროფა, სი უხანო,
მუს მაწვალე, ფერә მუ რღოლი.

### მელეხიშე სი რექი

მელეხიშე სი რექგ დო
მოლეხიშე მა საწყალი,
მა სი ქემგეხოლუენი,
ქომუჩუნი თიში ძალი.
მარა ხურგი დიდი ორე,
შკას მეგურჯუნს ხობიწყარი,
დო შორიშე გიჯინექი
ჩილამურით მა საწყალი.

### თე ცოროფა ეფერ რე

თე ცოროფა ეფერ რე,
ჩქიმი შური აქი ვარე
სქანდა მიმანიბელი რე,
სქანი გეშა მა დობლურე,
ძალამ შესაძლებელი რე.
ცოროფას ვოულუ თოლს სი-
ნათლე,
ვეცოდებუქ წყარს ქინათხე…
სქან ცოროფაქ გიმაშინ დო
დახე მუჭო ვეგნიფშტერი,
ეკიფრთხი დო ქიდუანთხი,
ასეთ ვეგნობძ კოჩიშ ფერი.
ღორონთქ მალას დოპილგნდას,
ა, ღორონთი ქიმმეხვარი,
ზისხირ გოსქირაფილ მაფუ,
სოთინ ვენშაბდგ ართი ცვარი,
თენა მითინს ქაჭირუნო,
მა ცოროფათ თაშ გებწვალი.
ჩქიმ ცოროფა შხვანერი რე,
გილოურსუ ჯა დო ჯათ,
ცოროფილქ მილალატ,
გეგნაცუნუ შხვა დო შხვას,
ა, ცოროფა სი უდღინო,
გური მუშენ დომიხაში,
სისგმარო ჩქიმი რდი დო
ცხადო ცოფედიო შხვაში,
სერი იშენ სერი რე დო
უკუმელა მაფუ დღაში.

* * *

სო რექ , ჩქიმი ცოროფილი,
სო გილუ მოსაშვანდე ბინა,
მა დაკგრალო გინორთელს
სქანდა მიპირებუ ნტინა,
ტყა დო ტყათი გილოულუ,
მეტებული მაფუ ბინა…
ბროლიშә ოდა გემდგგდას,
მუშო მოკო უკარეთ,
ვარდის მუ გარზინუანს
უჰავეთ დო უწყარეთ,
მუჭო თინა თეში ვერგგ,
მა ვებრგგქგ უსქანეთ.
გურიშә კგლას მიგაბარე,
ჯგირო დომიჩუანქგ-და,
მარა მა მუთუ რე გენდე,
ეგებ ტყურას თქუანქგ-და,
ვადმაღორა, სი ღურელი,
სვინდისის ქიფუჩუანქგ-და,
დობლურა-და — სქან მიზეზი,
დოპილә გურიშә ჭუაქგ-და.

* * *

მიცორქია, მიწინდინი,
მუშә ნუგეშის დომიჩინა,
სი ფერә თოლით მიჯინექგ,
გურსგ ჭლექის გომირჩქინა.
ბროლიშә ციხე მუშოთ გოკო,
გედგგდას უკარეთგ,
ვარდის ფერსგ მუ მეჩანსგ
უბჟეთგ დო უჰავეთგ.
ჩხომსგ მუდგა ღოლუენი,
იშენ ვერგგ უწყარეთგ,
მუჭო თინეფә თეშә ვერგგნი,
მა ვებრგუქი უსქანეთგ.
მუქ გარჩქინუ თე ცოროფა,
ღორონც დოუჭყუდას თინა,
ჯოჯოხეთიშә უნწარაში —
უსქანეთი ჩქიმი რინა.
ბრელә ხანი რე ვამძირგქგ
ჩქიმә ცოროფაქ ქიმერგიდგ.
სისმაროთგ ვაგორწყექგ,
მუ ცოდაქგ გემედიდგ.

### სიტყვა მილუ სქანიწკგმა

სიტყვა მილუ სქანიწკგმა,
ორაგადე ვარე შხაში,
მონტუუნ დო იბჭუუქუ,
მუდა დღაშა ვორდა თაში,
გორწყექგნი, გურსგ მაჭუ,
ვაგორწყექგნი — უფურაში.

### ართი აზრი პილგნცგ

ართი აზრი პილგნცგ დო
ვეშემლებუ დობჭარენი,
ვორწყექ მემერიებუ დო
უსხუნ ქიანას ვავორდენი.
მოსაშველექ ვამაგორ,
ჭვილი გური მუთი მარდე.
გიჩქგდას, ვეცუაფუ
სი ჩქიმә ცოროფილი ვარდე,
სი სქანә ცუდეს ზოჯუნდენი,
მა ჩქიმә ცუდეს მილემგარდე…
თოლც ანთება ქომირჩქინდგ,
მუჟამ ქანგოჯინექგნი,
ნანდულ დარწმუნებულ ორდა,
ჩქიმ ცოროფილ სი რექგნი.
აკა წერილ ქგმობჭარი,
მუჟამ თესგ მილენქგნი,
ჩქიმი სახელც მა ვაბჭარგნქ,
ფიფქრენქ ქომიჩინენქგნი.

* * *

ვჭარუნქი დო მეგიჩინა,
ახალ ეულირი პირი,
ნამუ სათის სი რძირინი,
თი წუთიშე დეგეკვირი.
თესხანიე გიჯინექი,
მუთა ვძირი სკანი კილი,
აწი გურსგ მუ გილუნი,
ქომიწიი, სქანი ჭირი.
სკანი ჯაბით ქობლურუქი,
მა უხანე ბედი ჭვილი,
მაწვალენქი, მუსხანიშა
უსკანეთი ჩქიმი რინი!..
შურო ღორონთә ქოგიჩქუ-და,
ჩქიმი თხოვნას სი ქურჩქილი,
მითინქ თეს ვეგმაძიცა,
ჯაბით ლერსი გიმოვთქვინი.

### სი რექ ჩქიმი სიცოცხლე

სი რექ ჩქიმი სიცოცხლე დო
ჩქიმი ცხოვრებაში კილა,
ირფელს ართო დავაგირენქ,
ღართი ვამოკო დო ქილა,
ოღონდ ცუდი ვაგმაგონა,
უღორონთეთ ვადოპილა.
მუ გონებუნ ქომიზოჯი,
გურსუ მარა მარჩქვენუ,
უჩა ლაფშა, თუხარიკი
მა სკანოთი მაცვენუ.

* * *

ოხ, შურә, ნოტე თიში ბედის,
მიშგ გურს დაჩხირә ვალარზუნი,
ცოროფილიშә უნუგეშოთ
მისი თოლი ვანგარსუნი.
ბჭუნს დაჩხირი უშკირატგ,
გორჩქინელი მაფუ ალი,
ცოროფილშე დატანჯებულә
მის გიძირუ ჩქიმიცალი?
საწყალი დო ლეხი ვორექ,
წამალი მუ იცუაფუ,
მუდგარენი ქოპილუნს,
ჩქიმი ღურუს ანჭუაფუ.
თეს მორთუნი, ცოროფა რე,
დობლურუქუ დო მუთუნә ვარე,
დაჩხირә მაფუ გორჩქინელი,
ჩქიმი გურსუ გოლოფა რე.
თე ურჯულო ცოროფას,
ირფელә ქეშნოლებუენო,
თოლსგ სინათლე მიდნოვე დო,
დუს დუნორკებუენო.
მუშით გუნოჩქუმალუე,
შხვაშა ვაგნოტებუენო,
შურსგ გეშნოღალუე დო
შურო ვაჩნორცხებუენო.

# ნანაში ნინაშა

* * *

სახელ რჯახო მარგალიტი,
მა გეგოდვანქ მატრონას,
ტოლ ვაპუნსუ სქანიჯგუა
ოდიში დო შამგონას.
ვარა ოკო ვარჯოგუდე,
მა თაშჷ ვორექ გაგონას,
სიზიმარო გორთხოზუქ
სუმჷ საჯენიშჷ მახოლას.
მა სი გინმოსქიდუდენი,
ინა ღორონქ ვაბღოლას,
ვამაში-და დუდშა მიბგანქ
ბერდენაში პატრონას.
სქანი სახე მიკორდუნსუ
ჩქიმი გური ნაჭყოლას,
მოქცევაშე დიდებული,
პიჯი, სახე ხათრიანი,
წირცფალეფი ქორდასუ დო
ჩქი ბძირათ ართიანი.
ჯგირჷ ოჯახის სქუა რექ,
ოკო ორდე მარდიანი.
სქანჷ ოროფა მუს მორთუნი,
სი მუ გიჩქუ ჩქიმიცალო.
სქანჷ ჸოროფაქ დუმონდღულუ
ფრევალიში თირიცალო.
სი სქანჷ სოფელს ქიქვიჩინანქ
მაგნოლიაშჷ პირიცალო,
მა სიზმარო გორთხოზუქუ
მიმინო დო ქირიცალო.
ჩქიმი ჭკუა თითეულო
არძო ხოლო სო მათქუე,
მარა აწი მიიბსუსტი,
დუდ სო იბღა, ვამაჩუე.
წირვა-ხვამა მა ვამოკო,
რადგან ხატი სი ჩქიმი რექ,
სქანი სქვამი სახე წყობას
მა სიზმარო დინვოჯინექ.
ემორჩილი ჩქიმი სიტყვას,
ღირსი ქოპი, მა სი გირჩენქ,
თე სიტყვაში მაჭარალი
ქეშემწყნარი, მუს აპირენქ,
მუშენ თაში მაცოდილენქ,
უღორონთე მუშენი რექ.

## ხვალე ვორექ მა საწყალი

ხვალე ვორექ მა საწყალი,
გურს მონტუ დაჩხჷრიშ ალი,
ვდინუქი დო შემიბრალი,
ქჷმორთი დო ქჷმმეხვარი.
ქიგიშინი სკანი ვალი,
ვამიწუა თეში ვარი,
ქჷწმაძირი, გამახარი,
სი რექ ღურუში წამალი.

## დოპიჩუაქ ქჷმორთუ

დოპიჩუაქ ქჷმორთუ დო
გამნვორთინე კაპუნია,
სახელ გიგო ვჯოხოდუ დო
გვარი მიღუდ გაბუნია.
ცირა, მუჭო ოსვისვინა,
ჩქიმდა გიგორაფუნია,
მა სი მუშენი დმოგორი,
სი სარალე ძაბუნია.
სქანი თიშა მემირთუმუ
ჩონგური მეგიგამუნია,
სი ჩონგური მეგიგამუ,
მა ჯგირჷ ქომისხაპუნია.
ლახუტია გილუდუნი,
ჩქიმდა მოგიჭყაფუნია,
ნორჩალი დო გექუნალი
ჩქიმდა დოგირჩაფუნია.

* * *

საყვარელი, ქოპუას
ჩქიმჷ ჸოროფილჷ ძღაბიწკუმა,
ვადობჭვა დო ვადობხალა,
ვამინდომა შხვაშა ჸუნა,
ქუგუალე თისი მა
მუშჷ თოლი დო წარიწკუმა.

## ბარათის თიშენი ბჭარ

ბარათის თიშენი ბჭარჷ,
ჭიჭე ქეშემცოდილუე,
გურქჷ ოკო ვარღოლას,
გვალო თაში მოდინუე,
სი შორიშე გილართე დო
მა თაურე მოჯინუე,
სი შხვა ქიმიჸუნენი დო
მა განიშე მონტინუე.

## პირველს თისი ვოხვეწუქი

პირველს თისი ვოხვეწუქი,
მიქით მუჩუ თოლიშ ჯინა,
ხესი კითი დო კალამი,
დუს — ტვინი დო ჸუსი
— რჩქილა,
შური — ძორის მათხილარო,
გურჷ დო სარაგადო ნინა,
თიშჷ იმენდით მა გილული,
სოთინ ვეშემლებუ რტინა.
მიდგას პირველს ვოხვეწუდი,
თისი ოკო მივენდენი,
მუდგა გლახა მუჩასინი,
იშენთ ოკო გებჯერდენი,
მეტი შარა მა სო მიღუ,
თიშჷ ზოჯუას ვევენდენი…
ბაღჩას ართი ვარდი ბძირი,
წილუა მოკოდ, ვამასოფუ,
მუჭოთ მაფშალიან თეში
იშჷ ჸოროფაქ მა ობჭოფუ,
ვარდიშჷ გეშა დობლურიკონ —
ღორონთ თენა მიჭყოლოფუ.
სი ხომ ვარდიშჷ უჯგუში რექ,
თიშენჷ გოცქვა ვარდიშორო,
მუჟამს მა სი ქორძირინი,
ვეებობრჯი ოშინერო,
რაგადი წყნარი, მოსაწონი,
ულა ნორჩქვე მშვენიერი,
კიბირჷ — ბროლი,
თოლჷ — გვირალი,
ტან-ჭყვირგალი, ჸონიერი,
აიშახ რინა მოკოდ, მარა
ანწი შურო ვამოხუჯუ,
სქანი უმუშო ვებრგუქჷ დო
ქომიწიი მუჭო უჯგუ.

## მინადორა, ჩქიმი დადა

მინადორა, ჩქიმი დადა,
მომიკითხი ფითული,
ნიტე თიშა ქომირჩქინას,
მუთ ჩქიმჷ გურსჷ ირთუნი…
მიზოჯუნს-და დუს შევწირე,
ონკირეშა მითული,
თიში უჩა წარჷ დო თოლი
ბრილიანტშორო ირთუნი,
გიშერიში უჩა თომა
ხუჯენს გილახიბუნი,
ცხადიცალო თოლს აწმორე,
მუჭო ქეშმაჸვინთუნი…
ვარა შურო ვაპუას,
ვარა ჩქიმი ქოჸუნი.

## ზღვაშე თუთა მედინაფე

ზღვაშე თუთა მედინაფე,
გვალას გეურთუმუ ბჟასი,
გიმე დიხაქ ვაგომიხორცქ,
ეშე ველუანჭი ცასი,
ჩქიმი საიმენდო ვარდი
ასე ალუურე შხვასი,
სახელჷ ვარდი მიჯოხო დო
ინა ვემკოჩანსჷ ჯასი.

## პატონეფი, თქვანი ჭირი

პატონეფი, თქვანი ჭირი,
ართ წუთისი მირჩქილითი,
გაჭირებას მუგოშინანთ
ჩქიმი გური ხაშილითი.
ვორექ ბედიში დატანჯული,
ჭვილ გენია დაჩხირითი,
ბედიქ მუჩუ სატანჯველი —
გოზიმილი არშინითი…
ადრეიან ჸოროფაქი
ასე ქაშამიჸოთ ხეშა,
ვავორწყექინ, შურსი პკაშუ,
ქობძირუნქინ — მევოქეშა.
უსინათლო ჸოროფაქ
გამმათხოზუ ძეში ძეშა,
ვაი, დედა, მუსი მორთუ,
მეფთხოზ, მეფთხოზ
საფულეშა.
ცირეფჷ მუჭო ვამიძირუ,
მიძირუნა ბჟაცალჷ ჯგირი,
მინი ცირა, მინ ოსური,
პატიოსანჷ კოჩიშჷ ჩილი,
თექი მუჭო გინიმართუ,
მუს რე ვორწყექ, სქანი ჭირი.
კავკასია დომილებუ,
ვიშოთ მიკოფჩილათუქი,
ბრელჷ ოსურეფჷ შეფხვალამუ,
არძას გინოფსქილადუქი,
მიჸორდუო, ბჯოგუდუო,
აკას ვეკობდინაფუქი…
ასე შურო ვარწანქინი,
მუ ეშმაკი გილუანს,
მითინი ვამოიწონუანს
ქირსიანიშ ჸვილუას…
ხვალე მა ვაბღოლამუ,
თენა ჸოფე ირი დროსი,
თამარ შოთას ჸოროფებუნ,
ქოგიჩქუნა ირიკოსი,
დარეჯანი — ტარიელს,
თელი სახენწიფოშჷ სწორსი,
მა სი მეჸოროფიკონი,
თეშენჷ ღორონთ მუს მიჭყორსი.

## მა გუალე ჸოროფას

მა გუალე ჸოროფას,
ირკოჩიში რჩქინელო,
კოჩიშჷ გჷმასქვამებელო,
მუ იჸუაფჷ თინერო.
გუმოფჩანქი იფრელსი დო
ქუგულუანქ ჸოროფას,
ჩქიმ ქონება ვაუბაღუდა,
მიფხვარუანქ ხოლო შხვას.
დაჩხირს ეკობდოხოდუქი
კვირკვეშჷ გურსი, გოლოფას,
მუში მხიარული სახე
ოღონს ქომიჭყოლოფას…
ციხეს დომოხვილანინი,
იშენი ვთქუა ხოლო თის,
შქვიდა გინომჭყვიდესი-და —
მივგორუანქ ჸოროფილს.
ჸოროფაჯგუა მუთუნ ვარე,
კოჩიშჷ გუმასქვამებელი,
სქანჷ ჸოროფა მა მუქ მუჩუ,
ჩქიმი გჷმახანგებელი…
სი ჸოროფა, სი ურჯულო,
მუ გებძუდუ სქანი ვალი,
ჸოროფილს ქობძირუნქინ,
გუმაჯამუ ცაში კარი.

* * *

თე ოხერი ჸოროფას
მუ ძალჷ ოკო ულუდას?
გურშა გემშეჭკირუნი,
ზარეშორო მითმიოგანს…
ედემიში ბაღიშა
კარს განჯამაფუანს,
ხომლა ჯა ორდასინი,
ვარდო გაფალაფუანს…
ოროს ქედოდოხოდუნ დო,
სუფრას განწყუმაფუანს,
მუში შურიშ ოსხუნურს
ხოლოს ქელეხუნუანს.
მისითი მუ ოკონი,
ეთის ორაგადუანს…

## ვო, მარია, მარია

ვო, მარია, მარია,
ქოგიჸორქ დო ვარია,
გიჸორქჷ-და „ქო“ ქოთქვი,
ვამიწუა ვარია,
ვო, მარია, მარია.

ვადობჭვა დო ვადობხაშა,
ირო მისხუნუქუ შხვაშა, —
ჩქიმ ხატი დო ჯვარია,
ვამწუა ვარია,
ვო, მარია, მარია.

უსქანეთ ვადმარინე —
ამარ გეებტყარია,
ალ- დაჩხირით იბჭუუქუ
ქჷგმოცაცხე წყარია,
ვო, მარია, მარია.

ჸუდეს ვორექ მა ხვალე,
კარცჷ ქჷმკუბარხალე, —
მანგარ ვარე კარია,
გური გამიხარია,
ვო, მარია, მარია.
მუთ მიღუნი, სქანო მიღუ,
სქანო მიიხვარია,
სი იხარი ე ცხოვრებას,
მათი გამახარია,
ვო, მარია, მარია.

* * *

სქანჷ თოლეფი გუმაშინენ,
ფურინუნც ჩქიმი გური,
ირო თის გუოჯინექ,
სქან სურათი ქომუჩუნი.
დღაშით, სერით მა ალაბშჷ
სქანი თუთარჩელა სახე,
ცირა, სქანი ჸოროფას
ღურა დღაშა ქეშიმნახე,
სქანჷ თოლეფი ალმასი რე,
ბჟა დო თუთათ აწმაძირე,
ართიან ხშირას ქობძირათ,
უსქანეთ ვაგმარზინე.
ვეშემლებუ, ვადმარინე,
მალა-მალას მა ვარძირე,
სქანი თოლეფიშჷ ჩხორია
გვალო ბჟაში ბარჩხალი რე,
ირო სქანი სახეს ვორწყექ,
უსქანეთ ვადმარინე,
ცირა, ვაიხუმარუქ,
გირაგადუქ — მარათალი რე.

## სქანი თოლი

სქანი თოლი ხანტურელქ
მუშჷ მანწარათ დამაღორუ,
ეშმაკიქ ხუჯი მირთუ,
ღორონთქ გვალო გჷმაჭყორუ.
ჸოროფაქ გომირჩქინდუ,
გამახანგუ, გამაბორუ,
გურცჷ ქოუჩა, ქჷვოცადუქ,
ვარა წამალ ვამაგორუ.
დუც მუთუნს ვავოხვარგჷქ,
საქმექ წამირთ ირფელამო,
ჩქიმი წამაჸონებელი
მუქ დაგაბად ათას სქვამო,
სქანი სახე, სქანი სიტყვა,
სქანი ბირა არძა ჰამო,
ჩქიმი დუდი საზვარაკოთ
მა მიმორჩქჷ აკა სქანო…
მა მუშენი დამაღორი,
მუშენ თაში მოვწამალე,
დრო მუშენი მომიგორი,
მუდგა ბღოლე, ვამანტინე,
მა ვორექჷ სქანი ჭკორი…
მეტი მუთუნს ვამგოშინა,
ვაბთქუანქ დო ვამორჭარუ,
მუთუნფერო ჩეგერცხიე,
ასე თინა მა მოჩქარუ.
კაკლარონს მითვორექ,
მარა მალას გაკლაბჭვარუ,
მი რე ხურხის გოხუტოლუნ,
თინა ჭიჭეს ქუმონჯარუ.

* * *

ჯგირი ორდე, სქვამი ორდე,
ირი კოსი სი უჸორდე,
მა ქომოკო სი დორხველო
საუკუნოთ ჩქიმი ორდე…
მიკმოჯინი, მოჩხონე,
სქვამჷ თოლეფი გინმოლე…
მუჭოთ ვარდის შურს გინთხუა,
ჩქიმჷ ხოლოშა სი მორთე…

## მახა

მახა, მა სქანოთ კირიბჷ ვორდა,
ირჷ გაჭირებაშჷ გალუაფარი
მახა მა სქანოთ სანთელი ვორდა
ხატიშჷ წოხოლე ონდღულაფარი!
სი ორდი ვარდი უგუუფაჩუ,
ვორდი მობირე მა მაფშალია,
გუგაღურჭულე, გეგოპუაფე,
შურით ქოგინთხე მა, მახარია!
ენა მუჭოთი თაში ორდუნი,
ვფიქრენქ, ვათქუე სითი ვარია.
მაფშალიაშოთ გოფაჩირიში
ვარდიში მინჯე რდასო კვარია?

## ვარდიშჷ აზრი

ვარდიქ თქუუ: ჩქიმჷ თინა რე,
მითი მურსჷ დო შურს მინთხუანს,
ხეს ვაბჯღვაბუნს, ვამკობწილუნს,
შორი-შორიშე დუს ირთუანს.

## საყვარელი მიჸორდასია, ნანა

საყვარელი მიჸორდასია, ნანა,
ჩქიმ თის ოკო დინორდასია, ნანა,
კუჩხის ოკო მიბონდასია, ნანა,
ხურხის ოკო მიჸორდასია, ნანა.
სქანი ჭირი, სქან გოლუა, ნანა

სქანი ჭირი, სქან გოლუა, ნანა,
სკან ჸოროფას მუ ვღოლუა, ნანა,
საფულეშა გინგაჸუნუქ, ნანა,
გურშა ქოგიხუტოლუა, ნანა.

## ჸოროფა კოს ვაჸვილუნსი

ჸოროფა კოს ვაჸვილუნსი,
ვაშუღანსი გვალო შურსი,
მარა ძალამს აწვალენსი,
წორეთ შეუწუხენს შურსი.
შხვა იბირდას, იძიცანდას,
აკმეჭიროთებუ გური,
მარა მისხუნ მა თიწკელა —
თორს მიმორე ჩილამური.
გამაშინე მა ცოდასი,
ჰამო რინი, ბრელი ნერი,
ჸოროფილი მა მიჸუნდუ,
მათი ვორდი ბედნიერი…
თქვათ ქარწყეთი გეევთენი,
საწყალს შური ვამიდგუნი,
მეტი თქვანი ნტერი ვარე,
დიდი ხანი მა მიძუნი.
შურჷ დო გური მა მიგანდვი,
გაგაჯოგიო უბედური?
თელჷ ქივანას ვერჩქინელე,
ჩქიმცალჷ გაჭირებული…

## სი დობჭვი დო სი დობხალი

სი დობჭვი დო სი დობხალი,
სი რე მომიკიოტე,
ირ კოჩი თესჷ მირაგადუ:
თე ჸოროფა მიოტე,
მარა მუჭო მიმატენე,
ცოდა ვორექ დიოდე.

## ჸოროფილჷ ცირას

ახავაია ჩქიმი ცოდა,
მუჭო გური ჭვილი მაფუ,
ირფელიშჷ უწნარაში —
სქან ძირაფა ძვირი მაფუ.
მალა-მალას რძირუნდენ,
ნაბეტან ჯგირი მაფუ,
უსქანეთ ჩქიმი გური
ვაგოტიბუ, რგილი მაფუ.
ნოტე ქეკმოჯინუას,
სოვრე გილეწიორუქ,
ეგებ მალას ქორძირენ,
თის მივახიოლუქ.

## სქანჷ ჸოროფა თე ჩქიმ გურს

გიჸორქი დო ვაგიჸორქი,
მა შეგწირე სი ჩქიმ დუსი.
სქანჷ ჸოროფა თე ჩქიმ გურსი
ალ დაჩხირო რზუ დო ჭუნსი.
ვოხექინი — ალამიხე,
მეურქინი — ელაპუნსი,
შორშე იშენი გოგილუანქ
შესაწირეთ სი ჩქიმჷ დუსი.
სი ჭვირი დო მონტებული,
იშჷ მასქვამა მუქი რჸუუ,
ჩქიმი გურიში მაჸვილარი
დიდაქ მუშენჷ დოგიტუუ.
სი ღორონს გურჩქინუქი
სქანჷ გვარიში მაცქვაფალო,
ჩქიმი გური ჩქიმწკმა ვარე,
სქანდა მეურს მანტებელო.
ბჟა მიძირუ სხივიანი
ქჷანაშჷ გამანათებელო,
სქანი დუდი მა მიძირუ
ჩქიმი დამტანჯებელო.
ვიფუჩუა სქან სახელს,
ვეპიიქი სქანი ურჩი,
ჩქიმი ფაცხას ქუუკუჩხი
სქანი ბედნიერი კუჩხი.

* * *

ირო მულას იჭარუქ,
ირო მულას იჩინა,
ქომიწიი, გოლუაფირო,
მუჟამიშა გიჯინა.
ვარდიშ გური ფულირ გაფუ,
სახეთ გილეხვიჩინა.
მუჭო ოკო ბქიმინე,
მუნერ ცირათ გიჩინა?
ეგებ შურო ვარწანდე,
მარა იშენ ეცადით —
გური წყუნაფილჷ კოს
მუთუნ პატი ქოცათინ.
უსქანეთ ვეშემლებ
ართი დღას მოცადინ,
მარა თქვათ ნუ გოკონა,
უდაჩხირეთ დობჭვათინ.
ონდო ვორექ, დღას ვაპუნქ
სქანჷ ჸოროფაშჷ გათებას,
მარა თქვათ ქემკაჯინით
ჩქიმი გურიშჷ ანთებას.
ვოვ, ჭვილი ჩქიმი გურს
ქოთჷ ჭვენსჷ, ქოთჷ ვალუნს,
ჭოფილჷ მაფშალიაცალო,
გაჭირებას მოთვალუნს.
სი შორს უწონებუქუ დო
დარდით შურს ვაქალუნს,
ზოთონჯიში ვარდიცალო
ვაპირანს დო ვაფალუნს.

## გური ოტობაია

# Dlerium Tremens

### («ცნობიერების ნაკადის» ვერლიბრები ნარკოლოგიური ცენტრიდან)



## ლახტის შიგნით და გარეთ

**რიუნოსკე აკუტაგავას**

რაღაც ჭურჭელში რომ შემაგდეს, არ მახსოვს იგი,
არც მერმინდელი ორგიების სურვილი მახსოვს,
მიმოვფანტვდი ხელ-ფეხს ისე უმისამართოდ,
თითქოს ღალღაზე უფრო მეტად გაფრენა მსურდა.
ძნელია ახლა ბუნდოვანზე ცხადად ვიუბნო,
მახსოვს კედლები ხაოებით დაყურსულები,
მახსოვს ფეხის ხმა ვინმე ერთი ცელიან კაცის,
მას არა ეცვა გარდა მრუმე ბალდახინისა,
მაგრამ ამ კედლებს საოცარი სიმტკიცე ჰქონდა,
რომ მიჭერდა და თავის შიგნით მაწიაღებდა.

გზას მე ვხედავდი ერთადერთს და ცრიატა ნათელს,
დანარჩენი ხომ გლუვი იყო, მღელვარე თანაც,
მე არ მესმოდა ჩემი დაბმის მიზნეულობა,
ვერც იმას ვიტყვი თუ ოდესმე გარსს გავცდებოდი,
სად ცელის სივილის მივამსგავსე ის ხმიანება.
და როცა ერთხელ გრუხუნები მესმა გარედან,
და როცა ერთხელ ელჭექები ჩემშიც აწივლდა,
რაღაც უცხო და უჩვეულო მძვინვარებებით
დამტაცეს ხელი და რომ ვნახე გვიან ყამები
სწორედ იმგვარად ქარქაშიდან ამომაცალეს.

ჩემი მეორე ლახტში ყოფნა გაჩენის შემდეგ
სასაცილოა საქვითინო რომ აღარ იყოს,
ყველას უკლებლივ შიგ თვალებში ვეჩხირებოდი,
ეკალი რაა, ულაყების დასაჭედ ლურსმნად.
მუშტებით როცა ვერ ვმძლავრობდი უფროსეულზე,
ვაწუილებდი ქვებს ტალღაზე რომ მისხლტებიან,
ა, იმ სიზუსტით, კოჭის თავის დასაჩეჩქვავად.

შიგნით და გარეთ ერთდროულად ლახტში ვიყავი,
ველარ ვწვდებოდი ქორფა მწვერვალებს,
მათი სურნელი ათას ტყე-ველს სტაცებდა ნესტოთ,
და ვემხობოდი გვირილების ულევლობაში.
მოვიდა სხვა დრო, ღინღლი, ქინქლი, ბეწვი, ჯაგარი,
ახლა აქეთკენ დატრიალდა დოლაბის წყება,
მაგრამ არჩევანს მუდამ ახლდა გვირილას კონა,
რომელიც მათი ტრიალისგან არ ისრისება.

მეტიც, ო, მეტიც ქვეშაგებით მიპირებდნენ გადმობირებას,
ან ხალიჩებით ქმრებზე მეტად რომ იბერტყება,
ზანდუკებით და კიდობნებით,
ნაფტალინის და ნაფითრალი ობის სურნელით
რომ გაჟღენთილან მოღრეცილი ჯღანაჯღუნები.
იყო სირმები, აბრეშუმი, ჩითჭყეტილები,
წიგნი კი არა, წიგნი არა, შიბაქ-ჯვალონი.

და ვნახე მაშინ ჩემი გულის სიგიჟე სრული,
იგი გომურში ტანს იბანდა მობნელებულში,
კარის სანაცვლოდ ფარდაგნაფარში,
ო, რა კენარი იყო მისი ტანწყობილობა,
ადრეც მენახა, ამ სითეთრემ კი გამაოგნა,
ო, რა კოკრები ამობურცვოდა,
ეს მერე ვნახე წყალი რომ მთხოვა.

დედა ვეგონე, ვუსხამდი და ვუსხამდი ძალუმ,
მან სხვაობები იგრძნო ჩქროლა-ნაკადებისა,
შემომხედა და იმნაირად ამომაშტერდა,
საშოზე ხელის მიფარებაც ველარ მოასწრო,
მკერდზე იტაცა ორივ მტევანი,
წამოკივლებაც არ უფიქრია,
რადგანაც წელი მოსალტული მქონდა კენარი
და ერთმანეთში ვცურაობდით უკვე.

ლახტის შიგნით ვარ და გარეთაც ერთჟამიერად,
არ გამიკარა ქორწილამდე და იმის მერეც,
ეყოლა შვილი ერთი, მეორე, მესამე და კიდევ მეოთხეც,
ეს მიყოლებით გრძელდებოდა, მაგრამ იმის ქმარს,
გეზად ვიცნობდი, თვალი ჯიქურ არ უსწრებია.

და მოხდა ისე ერთ პურობისას,
ნაღვინევმა და უფრო მეტად გულგასენილმა,
სადღეგრძელოზე დავაროშე ასეთი რამე:
ხუთი შვილი გყავს, ოღონდ ჩემი მკვდრადშობილია.
ატყდა განგაში, გაწევა და შეხლა-შემოხლა,
ატყდა სხავილი ბავშვებისა დედის მუხლებთან,
ხოლო შერცხვენილ დედაკაცმა მწარე ქვითინით,
მუშტები ჩასცხო თავის ჯილას, თავის მამაკაცს.
ხოლო იმან კი ყასბის დანას დასტაცა ხელი,
სუფრის გაყოფილ ნაკადშუა გამოშლიგინდა,
არ მოიქნევდა დანას ჩარხით ალაპლაპებულს,
არ გავნძრეულვარ, აღარც შიში მქონია რისმე,
რადგან შევრაცხე მამად თავი მკვდრადშობილ შვილის.
მომიახლოვდა ასე ოდენ მტკავლის მანძილზე,
მე მას ვუმზერდი მშვიდი, მშვიდი, როგორც ბომონი,
ოღონდაც იმათ ყელმობასვრისას
თვალნი ცრემლით უციაგდებათ.
მკერდზე მიბჯინა ჩარხევანზე ნალესი დანა.

ისმა კივილი ვარსკლავების ჩამომწყვეტელი:
*აღარ გაბედო, არ გაბედო,*
*იგი მამაა მკვდრადშობილი ჩემი შვილისა.*
და მოსხეპილი ლატანივით მყის ჩაიკეცა მეტოქე ჩემი.
დაინგრა სუფრა, წვეულება ემსგავსა ქელეხს,
არ იყო ფურთხი, აღარც წიხლი, აღარც ნაჯახი,
მაგრამ უფრორე ვხედავდი ქირქილს
იმ დაცემულ მეტოქის მიმართ
და არც ჩემს გამო ითქვა რამე სასიქადულო.

თუ უყვარდაო დროზე ხელი რად არ ჰკიდაო,
სადღა იყოო, რომელ ღრეში, რომელ ღრანტშიო,
ამგვარ ჩურჩულებს ჩვენ ექვსნიღა ვაწალიკებდით,
რადგანაც ხალხი მიიფანტა და მოიფანტა.
და ეგდო კაცი, ბასრი დანაც მის სიახლოვეს,
კიდევ ის ქალი გარსმოხვეულ ოთხი ბაღანით,
რომელთა შორის სულ უმცრისი ჭირვეულობდა,
*მამაო, მამი,* აი, ამას იტყოდა მარტო.

და მაშინ უცებ გამიელვა გულში გენიამ,
*შე, ნაძირალავ, ეს რა ჰქენი, ლხინი ჩაშალე,*
*დალეწე ერთი მერცხლის ბუდე, აწ როგორ გინდა?!*
*წავდგი ნაბიჯი, დანას ვტაცე ხელი პირიდან,*
*აჰა, შენ ტარით, ნუ გეშინის ახლოა მკერდი,*
*მიდი, მოაწექ, მიდი-მეთქი, ბედისწერაა,*
*ოღონდ მითხარი, თუ თქვა-მეთქი პირველიკაცი.*
*არაო,* მითხრა, *ჩემს სიმრწემეს შენ ვერ შეწვდიო,*
არ გამომართვა დანა ნისლებს მიშტერებულმა,
მოვატრიალე, ღრმად ჩავასე იგი მიწაზე,
როგორც ყრმობისას, ბალღობისას გვითამაშია.
ვთქვი ურისხველად, ჩემი იყო, ჩემად დარჩება,
ბავშვების მომვლელს, ალბათ, სადმე მოიძიებდი-მეთქი,
სხვა რაღა გიყო, ჩემს ბაღს კრეფდი, ძმობილო დიდხანს,
ჩემი ზურგი და ჩემი მკერდი მოგელის მუდამ.

და წავიწიე, მაგრამ საით, რა ვაებისკენ,
ბავშვები მკბენდნენ ჩექის ზემოთ მუხლ-ბარძაყებზე,
ხოლო ის ერთი, *მამილოო,* რომ იძახოდა,
გაურბოდა და გაურბოდა დედის გრძელ ხელებს.

სატკენად არა, მაგრამ ძალუმ შემოვიფერთხე
ლეკვები მგლისა, ერთმა ქვას ჰკიდა
ხელი თუმცა სროლა ვერ შეძლო
მიწას დაემხო, აბათქუნდა, როგორც ფილტვი
დაკლული ხარის.
ჩვენ მივდიოდით თვალის უკან მიუდევნებლად,
ჩვენ მივდიოდით, წინ ჩანჩქერი ჩქამიანობდა,
იყო ცრიატი ჟინჟლისდარი სველი და გლუვი,
ამოიწვერა მთვარე ხარის რქას შესადარი.

და ვთქვი ამგვარად: *ჩემი იყავ, ჩემი ხარ ტკბილო,*
*ჩემი იქნები ლახტის შიგნით, ლახტის გარეთაც,*
ხოლო იმანაც: *განა ყველა შენგან არ მყავდა,*
*მკვდრადშობილიც და ფეხებზე რომ გკბენდნენ ლეკვივით?*
ხმაური ნელა იზრდებოდა მაღალ ჩანჩქერის,
ჩანჩქერი ჩანდა ოლოდ, როგორც ცვილისფერ თმისებრ,
არ იყო წყალი ღრმა, ბარძაყებს ძლივას ფარავდა,
და ნაკბენარზე კაცს ძალუმად უსალბუნებდა.

ტანგაუხდელად შეტოპეს და ეახლნენ ჩქერალს,
ტანგაუხდელად ერთმანეთში ეძებდნენ ერთურთს,
კვესავდა თვალი დედაკაცის, ხოლო მამრისა
იყურებოდა იქით, იქით ბავშვებისაკენ.

**17. 09. 2019.**

## საფრთხობელა

ო, იცი, ძმაო, ჩემი სული მიფხრეწილია,
უფრო ძალუმად ვიდრე დროშა ძლეული ლაშქრის,
მაგრამ ეს ძალზე ცოტა რამე წამომიროშავს,
მიფხრეწილია ჩემი სული სიგრძე-სიგანით.

ამას გამიგებს ჩემი დაი ლია სტურუა,
ამას გამიგებ ძმაი ბესიკ ხარანაული,
ხეიბარია თოჯინა თუ ტიკინა რამე,
ორივეს მზერა მიჰქვითინებს ამ მიფხეწლობას.

ანთოლოგია შევქმენი და გავოგნდი ლამის,
ეს ვინ ვყოფილვართ, რა ატომურ მდუღაბრობისა,
ეს ვინ ვყოფილვართ, ვენახიდან ვეფხვის ტორამდე,
ან კაციანად გაჭრილ ცხენის ჭირისუფალნი?

მიფხრეწილია ჩემი სული, დამიგდეთ ყური,
ყოვლის მოთავე ჩანტლაძეა უწინარესად,
ტრიბუნს ეძახდნენ თეთრ ტაძრისას შტაინერსავით.
იმისი მყიფე მანიფესტი, უისრო ჟამი,
არა ბერგმანის, ანდა კიდევ კვენტინ კომპსონის,
უჟამო ჟამი, სად ფაუსტმა დრო გააქვავა.

თეთრგვრემანი ადონია აპოლეონი,
წიგნით მოვაჭრე,
რომლის წითური გოგონა, აგერ,
ამ ჭრელ ქალაქში,
ჭრელ ქალაქში, ჰო, გველპერანგა,
ჭრელაჭრულაში
აღესრულა ამის ძახილით: მშია, ო, მშია,
მშია, მშია, მშია და მშია.

მიფხრეწილია ჩემი სული ლორკასებურად
თუ ვიტყვი წვეთი ნიანგისა — საქართველოსი
და საქართველოც იწეწება ოთხივე კუთხით,
სითგან არ ქრიან დამძენძავი ქარაშოტები?!
დაფხრეწილია ჩემი სული — ჯარჯი ფხოველის
*ჭრილობებით, სიტყვით და ქარით,*
*ქაღალდების უდაბნოებით,*
*შესაკრებელით,* სადაც მკვლელის
ხელივით ცოცავს ხავსი საზარი.
ანდა მძლევარი არაბული, აბა, რომ ჰქვია,
მხარზე ვემთხვევი, ორივ ბეჭით ნიშნიანია,
მარჯვნივ მზეა და მარცხნივ მთვარე,
შიგნით? შუაში? საქართველო, სხვა არაფერი.
ჯოყოლა მოკვდა, ადათები თან ჩაიყოლა,
თავისუფლება მიანიჭა ბერობამ დიაცს
და შვილის ყოლა ჯურხაის ფარს გამოერიდა.

გადხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
ზემოთ და ქვემოთ, შიგნითა და კიდეც გარეთა,
ეგი არ არის ძრწოლა რამე უკიდურესის,
ან აჩემება, აჰა, დადგა აღსასრულიო.
ეგი განცდაა არა მხოლოდ საქართველოსი,
მსოფლიო განცდა შეიძლება ეწოდოს ამას.

ბადრია ნახე, გუგუშვილი — წითელია იმისი ყელი,
შიგ დაიგუბა ჭრელი ქვეყნის სამდურავები,
თიხის ფირფიტებს ათამაშებს ხელში ოთარი,
ჭილაძე გვარად,
დიდი ოთარი სინათლეს რომ უსწრებს სიჩქარით.
განა ტარიელ ჭანტურია აქვე არ არის,
დაუშრეტელი ნეოგენიით,
ან გინდა ბათუ დანელია,
რომლის დედის გამხმარი ხელი,
ახლაც, ამწუთას თუთის ფოთლად თავს მაფენია.

განგებ არავინ გამომრჩება, მთვარაძის ვაჟი,
მისი *დან რინგილი* —
მითოსური ნასახლარი შოტლანდიაში;
*ირმის ნახტომის* დიდოსტატი ინჯია ჯემალ,
ანდა ომარი თურმანაული ხვეწილი ფრანგეთს,
მოჯარულია ყველა ერთად,
მამუკა ძმაო, წიკლაურო, ბურსაჭირელო,
რარიგად შესძელ ესოდენი სულწნეხილობა —
დიაოხის მიწა — თორღვა ძაგანი.
მიხარის ბუდეს რომ მოექცა ჩემი ბაღათერ,
არაბულია, ხევსურთ ჯარი ჩამოგვიყენა.

ანთოლოგიას ვკონავ-მეთქი, აქ რამდენია,
აქ რამდენია რომ ვერ ვატევ ორწიგნეულში,
ჰე, ხარჩილავა ვახტანგ ლექსი განზე გასწიე
და ყელში ებრდღვენ შეუდრეკლად
მხეცს გამეხებულს.
აქ რამდენია, აქ წინანი აღარ არსებობს,
არც უკანანი არსებობენ ამ სიმრავლეში,
უბრალოდ ახლა ჩემო გონის ხსომიერება
ალმასის კუთხით გააბასრებს ზოგთა სტრიქონებს.
თორემ სად თქმულა ტყეში ვინ ვის აღემატება,
მუხა რცხილას თუ თხმელა კუნელს, თუნდაც ენძელას?
ვინ მოიგონა განსხვავება მომღერალთ შორის,
კრინი ჯობია, მეორე თუ მაღალი ბანი?

გაფხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
რა გინდა ქარო, საით, სითკენ მიმერეკები,
პირამიდების კოჭებისკენ, ნოეს ნაშიერს,
შენ რაღა იცი პირამიდა უმართსამართის,
ნუღარ გგონია ხომალდია იგი ციური.
არა, ძმობილო, პირამიდა შუმერში იშვა,
თიხის ფირფიტამ სამკუთხედად შეკრა ძალუმად,
როგორც სიმბოლო დედობრივი საშობისისა.
გამოიარა მან შემდგომად ქართული სივრცე,
ფალოსზე შედგა იგი საშო, კირბად იწოდა.
აი, აქედან გადაეცა ნილოსის ველობს
და ამის აქეთ მის წიაღში ძალიან ფრთხილად,
სარკოფაგიდან ყავარივით დგება მუმია.
დაბანდულია თითქოს მკვიდრად, გულმოდგინებით,
მაგრამ მერწმუნეთ ჩემზე ასწილ დაფხრეწილია.
სული გამქრალა ქვიშროვანში ტორნადოს ძაბრით,
ყვრიმალი შერჩა, დეენემის განსაჩხრეკელად,
ამტკიცონ აწი გენეტიკის ინჟინერიამ
რა ვალალობით მოუბობლავს სარკოფაგამდე.

დაფხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
რადგან ყველგან ვარ და მტვირთველი ყოველივესი,
იბი სუენზე არანაკლებად, კაცი არ შერჩა,
შუბის წვერებით ფეხშიშველა ანშანს წაიგდეს,
ის კი იცინის. გაგიჟდაო, უთხრეს სპასალარს.
მიჰგვარეს, მან კი ყველა კითხვა ერთით მოსილა.
*ნუ გგონიათო ერთიანად ამოგვჟუჟეთო,*
*შეხედეთ წელზე ქამრის ნაცვლად რა შემომირტყამს,*
*ვაზის ლერწიო, ასე იყო ჩემი დუნია.*
*დავიმარხებით, მაგრამ ისევ აღვივსებითო.*

დაფხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
*ბალახის ფოთლებს* რაც ეწია ამერიკაში,
ღორი უწოდა იმის მწერალს უბირთა ხროვამ,
პოეტს, რომელმაც დედამიწა მხრებით ატარა
და მიატარებს დღესაც, დღესაც შეუდრეკელად.

დაფხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
აბსენტის ცეცხლით პოს ღვარცოფი
ყორანს უქშევდა,
ყველა რატომღაც ვეღარ ჰგუობს
ამ დიად ფრინველს,
მხოლოდ გურია გულის კოვზთან
რომ მიიხუტებს.

დაფხრეწილია ჩემი სული ანით ჰოემდე,
ალფა ომეგა უფრო მოკლეა,
სომხურის ანბანს ოცდაცხრამეტი მხედარი ჰყავს,
ოცდაცხრამეტი მეციხოვნე,
მათი ერთობა ჯერეთ უცნობ
სხეულად მდგრადობს,
აგლუტინაცია ჰქვია ამას, შემჭიდროვება,
შედუღაბება ათასისა ერთის სახელით,
ჩემი პოემის გმირის ხალხია, მჰერის ხალხია,
ვარდებს რომ ფენენ მთელს ლიონეთში,
მოწმედ ე, ეგერ,
ექსტრა „ფუტბოლი“ ხურცილავა დამემოწმება,
იციან ფასი ჯოხის, რომელსაც ორი ბოლო აქვს უბირთათვის,
მათთვის — არცერთი, რადგანაც წრედმა,
შარავანდმა შეიწოვა ორივე ბოლო
და თავიც მუდამ იძებნება იმ გვირგვინისთვის.

დაფხრეწილია ჩემი სული მარჯვნივ და მარცხნივ,
როცა დავხედავ დედამიწას —
ეიფელი ნემსის ხელაა ოღონდ თივის ვეება ზვინში,
მხოლოდ კავკასი ილანდება ორი ზღვის შუა,
ჰიმალაი და კიდევ რომელი,



ესენი თავად დაკუზიანდნენ — დრომადორები,
მაგრამ ხომ არის ხელოვნური ქვის წყობილება,
ჰაეროვან დრაკონსაც რომ გადაფარავს თვისი აღნაგით,
ჩინის კედელი, ჩინის კედელი.

დაფხრეწილია ჩემი სული ჩემსავე შიგნით,
თქვენც იგივე ხართ გაბანგულნო მარიჰუანით,
ჰეროინი ხომ უფრო მძაფრია,
აკოტრიალე ცხენის რემა ყაყაჩოს ველზე,
ფხიკე ოფლთან და მტვერთან ერთად, ყლურწე ჩილიმი
და მუხლს ახალე მერე თავი დილა-საღამოს.

რით დავაოკო, რა მეთოდით, რა მანქანებით,
გოეთე მიყვარს: *წამო შეჩერდი!*
ნიცშეს მიხედვით ღმერთი მოკვდა, ეშმაკი იშვა.
აიშვა მწუთხემ, მშვენიერი თვალს მიეფარა
რა, შეიცვლება თუნდაც ბეწო წუთშესვენებით,
მეშვიდე დღეს რომ თვალი ლულა მამაუფალმა?!
ორი ხაზგასმა ოთხი მწკრივიდან,
ნაგასაკი და ჰიროსიმა აღარ არსებობს,
აღარც ჩეჩმაა და არც — ტაძარი.

დაფხრეწილია ჩემი სული გრიგალზე მეტად,
სად არის ცრემლი გარდახდილის მოსაგლოველი,
თითქოს ნუგეშად ისევ ვაჟა აღმოცენდება,
მაინც სიტურფით ჰყვავისაო, კმარა ვითომღა?!
ვინ, ვინ თქვა არსი უზუსტესი სამყაროისა?
არისტოტელემ *ბიძგიაო,* მაგრამ საიდან?
კანტს ემარჯვება მრავალერთობა,
ნაწილის და მთელის თანხმობა,
ბავშვის ცრემლში რომ დედამიწა ჩაიძირება
ცოცხლად ვინ რჩება?
ან რას იკმარებს მარადქრობად-მარანთებადში,
რომელი, სად და რაგვარ ხვრელში მძრომიალეა,
ხედავს ლაო ძი: ბეხრეკია მდიდართა შორის
თავად მეუფე და გამგებელი.

დაფხრეწილია ჩემი სული გაღმა-გამოღმა,
დგას საფრთხობელა აქოჩრილი ყანის შუაგულ,
ჯვარცმული თუა, ქრისტეს შემდეგ იგია, ალბათ,
სახელოები მორღვევია ზღვაურებისგან,
საყელო სადღაც მოდღლეზია ხვანჯარისაკენ.
აქ წვრილი ღელე მოჩხრიალებს იხვებით სავსე,
გადაფაფრვია იმას თავზე თხმელების ტევრი,
რომ გაიხედო მარადმწვანე გვირაბს გაგონებს,
მაგრამ სიმინდის ყანა, დიახაც
ხომ მის წინ ღაღანებს,
ჯვარზე გაკრული საფრთხობელას შიშის ამარა.
და მივალ, მივალ, მივლასლასებ ამ ძეგლისაკენ,
ამაზე მეტი მეგობარი აღარ შემომრჩა,
გულში ვიკონებ საფრთხობელას, რათა დროებით,
რათა დროებით მაინც ვიძმო მისი ცახცახი.

დაფხრეწილია ჩემი სული, არსით, არარსით,
და ვეუბნები საფრთხობელას, იკმარე ტანჯვა,
იკმარე-მეთქი, ა, ტყუპისცალს დააკვირდი ფეხზემოარულს.
შეხედე-მეთქი, შეხე, შეხე რა
სათუთად გადაგდო ხელი,
მაინც მოსხეპილ მარგილივით გადამიქანდი.
ეგ არაფერი, აჰა, უფრო მძლავრი ტოტები
ამოვიყარე, ამოვზვავდი, ამოვდიადდი,
ლამის მონუმენტს გავუტოლდი თავისუფლების,
ოღონდ ეგ არის, მე ათასწილ ვჯობივარ იმას,
ის ურყევია, გათანგული თავის დიდებით,
მე კი ვფართხალებ გახლართული თევზის
მსგავსად წვრილან ბადეში.
მე კი ვფრიალებ ვით ძლეული ლაშქარის დროშა,
მე კი ვხანხალებ ვით მემბრანა
ჭანტურიამ შაშვს რომ ადარა,
მე კი ვძაგძაგებ ვით რელსები მატარებლის გადარბენისას,
მე კი მივქრივარ და გრიგალი ვეღარ მეწევა,
თანაც ჩარლივით მეკვნიტება ფრჩხილნი კბილებით,
მე კი კედელთან თეთრპერანგა ვდგავარ ლულებთან,
გოიას მზერამ დაატყვევა საშინელ განცდად.
კიდევ რამდენი, ხუნტრუცობა ჭვავის ყანაში,
კიდევ რანდენი წრერბენები ტროის გარშემო,
კიდევ რამდენი ყოფნა-არყოფნა,
კიდევ რამდენი მადონას ღიმი აუხდელ ფარდად,
კიდევ რამდენი თუჯის უთო კვენტინ კომპსონის...

დაფხრეწილია ჩემი სული გაღმა-გამოღმა,
წევს უწყინარად ჩემი მოძმე, თანამოსაგრე,
არ მოჰყოლია მის დაცემას დიდი ხმაური,
არც რამ ზიანი მოჰყოლია იმის მითვლემას.
ეგი არ არის ჭვავის ყანა, აქ სიმინდია,
არც ხოდაბუნი ითქმის მასზე, ყანაა-მეთქი,
ზემოდან ვუმზერ გადაკოკრილს, შეტაროებულს,
ჩემში გროვდება ტყლაშატყლუში ყელა ქარების,
ნუ გეგონებათ შეცდომაა გრამატიკული,
აქ სამუმია, ცუნამია, აქ ტორნადოა,
აქ მისტრალია, მასქურია, პურგა, რომელი?!
ვდგავარ, ვფართხალებ, ვიფხრიწები და მეღიმება,
ყანის მახლობლად ფოთოლიც კი არ შრიალებს.
ყვავებს რას ვერჩი, მოვიდნენ და იგემონ თვისი,
ო, ჩემი სული მიფხრეწილი საფრთხობელაა.

**18. 09. 2019. 21 საათი.**

„კოლხური კირბების“ დამკვესებელი გია ჯიჭონაია, უკრაინაშია პრემირებული ორენოვანი წიგნისათვის. — ამნაირად ვკარნახობდი მე სათნოების დას სულთახდომის ჟამს ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, — საქართველოს მწერალთა ეროვნულ კავშირსაც არ გამორჩენია ეს პოეტური სიმაღლე და დღე საგანგებო პრემიის — „ოქროს საწმისის“ პირველი კავალერია იგი. მეტი სიახლოვე საკუთარ ფესვებთან და უფრორე აიტყორცნება ცად ძეწნების შთამომავალი ჩემი ძმობილი. — ასე ვემშვიდობებოდი იმ სულდუღილისას მე მას მრავალ ზუგდიდელთან ერთად, რომელთაც წარუშლელი ადამიანური კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში.

მე მაშინ, გონებაწაშლილმა, მიკვირს საიდან, რანაირად მოვახერხე ამდენი რამე, როგორ შევიძელი იმ აურაცხელი სახის აღდგენა და მათი სიკეთის თუნდაც შხეფების გადმოცემა კალმის ერთი მოსმით.

მერე და მერე ნელი-ნელ აღსდაგა ჩემს გონებაში ბურუისით მოცული მრავალი ბორძიკობა: თუ როგორ ვუბრახუმებდი კარებზე შუაღამე ჯიჭონაიების ოჯახს. თავზე მევლებოდნენ მთელი სამი დღე. ჩემი სამყოფი ყავა, ჩაი და გემოდეზები არ გამოილია დაწრეტილი ჩხოუშიას გაღმა-გამოღმა. არ გამოილია ნამცხვრები და ყველიანი კვერები სათნო დაია ნანას სამზარეულოში. ბიჭი მისი, სულმუდამ რომ მეხსომება ნახშირივით შავ-შავი თვალებით, როგორ იყო, თვეების წინათ გულშეღონებული ძმობილისთვის სასწრაფო რომ გამოიძახა მეუღლემ, ერთის მაგივრად ორი მოადგა მათ საცხოვრისს. ვაჟის გამოძახებულს დაესწრო მოსვლა. თან ასეთნაირად განმარტა ეს საქციელი მალხაზმა: ვის უნდა დავლოდები, რომელს? ჰო, დიახაც მე გამოვიძახე. აბა, სად მყავს მე მოსაკვდომი გენიოსი მამა?!

ბევრს არაფერს ცოდავდა ეს დაუდგრომელი ბიჭუნა, სულ თავთიდ რომ მედგა და ხელად მომირბენინებდა ნატრულ „ბორჯომს“ თუ სიგარეტს, როცა დაია ანანა ყავას ადუღებდა, ჩემი ძმობილი კი ჩემი შარვლის თერძობით იყო დაკავებული. ძრომდე დავიყვანე ოჯახის საგანგებოდ შემონახული სასმელები, ფრჩხილებამდე დავიყვანე ფილტრიანი სიგარეტები და თამბაქოს გახვევის საჭიროება რომ დადგა, დასაქმდა საამისოდ მამაილა ძე და მისი გენიოსი მამა.

რამ უნდა დამავიწყოს ეგ სიკეთე ჩემო ჯიჭონაიებო?! მალე დაემთავრებინოს თქვენს დაბრძენებულ უფროს ქალიშვილს იურიდიული განათლება სორბონის უნივერსიტეტში. მალე მენახოს თქვენი ცხოვრება ისეთივე სხივსავსე, როგორც ადამიანური მადლითა და ჭეშმარიტი პოეზიითაა იგი გაჯერებული დილა-საღამო, ზამთარ-ზაფხულ საკეთილდღეოდ მოყვასისა. **მარად თქვენი გური ოტობაია.**

**11. 10. 2019 წ.**

# საქართველო საერთაშორისო მასონიზმის მსხვერპლია



## მეორე ნაწილი

**თემა საფიცარ საქართველოზე გრძელდება საუბედუროდ, შევარდნაძისეული მასონიზმის კონცეფციის კონტექსტში, მისივე პოზიციის, ვითომ ოპოზიციონერებთან დაპირისპირებით, და რაც მთავარია, ეს ხდება საქართველოსთვის უმძიმესი პოლიტიკური და დუხჭირი ეკონომიკური პირობების ვითარებაში.**

დავიწყოთ თუ გნებავთ, შევარდნაძის ერთ-ერთი „ჩამომყვანის, მერე მისი პრემიერ-მინისტრის, სიგუას განცხადებით, რომ: — „შევარდნაძემ, დაახლოებით 100 ბიზნესმენი გაამდიდრა, ქართველი ხალხის გაღატაკების ხარჯზე“... ეს მასონების დევიზია: „რამდენიმე მილიონერი“ და დანარჩენი „პროლეტარები“. და ამაში ლომის წილი გიდევთ თქვენც, „ბატონო“ სიგუა. ქართველი ხალხის ეკონომიკურად გაჩანაგება და დაძაბუნება, პირადად თქვენი „დამსახურებაცაა“ შევარდნაძესთან ერთად. ახლა, თუ პოლიტიკურ ნაწილზე გადავალთ, განა, თქვენ, ბატონმა გამსახურდიამ არ გამოგიყვანათ ეროვნულ ასპარეზზე? აბა ვინ დათვლის რამდენი პროფესორი და აკადემიკოსია საქართველოში, საუბედუროდ, ბევრი მათგანის ეროვნული შემეცნების დონე ძალიან დაბალი აღმოჩნდა, თქვენზე კი, პირდაპირ თქმაც მიმძიმს. განა თქვენ შევარდნაძეს ჩვენზე ადრე და ჩვენზე უკეთ არ იცნობდით? იცნობდით და საქმეც მაგაშია, რომ თქვენი მოქმედება მიზანმიმართული გახლდათ, თქვენ ქვენა მიზნები გქონიათ, არა თუ პრეზიდენტის, არამედ მთელი ერის მიმართ, რაც, ღალატია. რა აზრი აქვს ახლა თქვენს ნათქვამს, რომ „გამსახურდია ეროვნული კაცი იყო,“ და არა ჭარბად ნაციონალისტი, — როგორც თქვენ გინდათ წარმოაჩინოთ, ეს სადაო არ არის.

„შევარდნაძე წმინდა კოსმოპოლიტია, ეროვნული არაფერი აქვს“, — ეს ჭეშმარიტება ყველა ქართველმა იცოდა და თქვენც იცოდით ადრე... ამის დასტურია თქვენი სიტყვებიც: „შევარდნაძის ორგვარი თამაშით, საქართველომ ყველაფერი წააგო, მას საქართველო არ აინტერესებს. ყველას და ყოველივეს საკუთარი მიზნებისთვის გასწირავს“. შეკითხვაზე კი, რა უნდა ბოლოს და ბოლოს შევარდნაძეს, „ესენგეში“‘ხომ შეგვიყვანა, რუსეთის მონა-მორჩილად გაგვხადა? — უტიფრად უპასუხეთ: — „შევარდნაძის პარტიამ თუ გაიმარჯვა, საქართველო რუსეთის სრულ გუბერნიად იქცევა“. ვითომ ძალიან გტკიოდათ ამაზე გული?! ეს თქვენი და თქვენი „ძმაკაცების დამსახურებაცაა“. ეს მასონური იდეის განხორციელებაცაა. ქართველი ხალხი მოგკითხავთ, არ გაპატიებთ, არც ერთს, არც მეორეს...

ეს ყველაფერი და სხვებიც მშვენივრად’’ თავსდება მასონიზმის „ბრძენთა კრებების“ ოქმში. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს კოჰორტა და მისი „ნათესავებიც“ წილნაყარნი არიან მასონური მოძრაობის დოქტორინასთან და შესაბამისად, ერის მოღალატენი არიან.

ვერსად წაუხვალთ ხალხის რისხვას, სირცხვილს... ხალხის თვალში კაპიკია თქვენი ფასი. მოკლედ, თქვენ დააკანონეთ საქართველოს დაქცევის ლეგიტიმურობა, ეს ნაღდად თქვენი მონაპოვარია.

თავისუფალმა საქართველომ ეკლიანი გზა განვლო ზვიად გამსახურდიას მეთაურობით და სწორედ ეს გზა — ზნეობრივი, სამართლებრივი, უკომპრომისო, გაგვამარჯვებინებს.

**ცნობისთვის:** ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი, სსრკ მინისტრი, ნამდვილად იყო მასონური ლოჟის „მაგისტერიუმის“ წევრი 1992 წლიდან (იხ. გაზეთი „პალესტინა რონია, ოქტომბერი, 1995 წ.) და რომ ეს ასეა, ადასტურებს შევარდნაძის ჩინოვნიკი სავაჭრო-ეკონომიური წარმომადგენელი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორის ლეონარდო დევდარიანი გვიანდელი აღსარებით გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (34 აგვისტო 2017წ.)



„დიახ შევარდნაძე „კონსერვი“ იყო! განვმარტოთ „კონსერვი“ სპეცსამსახურების ენაზე „მძინარე მდგომარეობაში“ მყოფ აგენტს ნიშნავს, რომელსაც თავისი პატრონები კარიერულ წინსვლაში ეხმარებიან, გზას უკვალავენ და საჭირო მომენტში საჭირო საქმეს გააკეთებინებენ. შევარდნაძის „დავერბოვკება“ ამერიკული „ცეერეუსა“ და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მიერ ხდება 1974 წელს ბრაზილიაში, როცა საბჭოთა სამთავრობო დელეგაცია შევარდნაძის მეთაურობით გააგზავნეს. ნუ გაგიკვირდებათ: „კანადაში საბჭოთა კავშირის ელჩი ალექსანდრე იაკოვლევი „კონსერვი“ იყო, რომელმაც გორბჩოვი კანადაში დაპატიჟა, გორბაჩოვიც სწორედ მისი მეცადინეობით და ხელშეწყობით გახდა ამერიკელების „კონსერვი“. ეს უფრო გვიან. სამმა „კონსერვმა“ — გორბაჩოვმა, შევარდნაძემ და იაკოვლევმა აღასრულეს თავიანთი პატრონების დავალება და დაშალეს საბჭოთა კავშირი.

შევარდნაძემ ამას საქართველოს დაშლაც და აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვაც დაამატა.

„ხალხნო! მე დავკარგე აფხაზეთი, მომკალით ახლა!“ — განაცხადა შევარდნაძემ, თუმცა მას ეს ტერიტორია უანგაროდ არ დაუკარგავს, ამის სანაცვლოდ მან მიიღო ტისენის ციხე-კოშკი გერმანიაში, რომელიც ახლა ალბათ მის შვილს, პაატა შევარდნაძეს ეკუთვნის. დევდარიანი თავის ინტერვიუში ამბობს: „გერმანიის გაერთიანების მართლაც და კეთილშობილურ საქმეში შევარდნაძემ ათეული მილიარდობით გერმანული მარკა მოტეხა“.

შევარდნაძის მიერ „გაკვალულ“ გზას მიყვება დღესაც საქართველო.

ეს გზა დამღუპველია! რას ჰქვია დამოუკიდებლობა? საქართველო ასე დამოკიდებულნი, ასეთი პატარა და ასეთი მცირერიცხოვანი არასდროს ყოფილა. გამოვიღვიძოთ!

**ალეკო თოდუა**

**საერო-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ვიცე პრეზიდენტი**

# მწერალმა ქუჩაში ნივთები გააჩუქა

**სენაკი პაწია და კოპწია ქალაქია. სიმშვიდე და სიყვარული თანაარსებობს მასში. საოცარი პოეტური ადგილებიც იწონებს თავს. აქ. ერთ-ერთი მთავარი რუსთაველის ქუჩაა, სადაც სამტრედეებს მოუყრიათ თავი და დილდილობით მტრედები, რომლებიც იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის სახურავზე ჩამომსხდარნი თბებიან მზითა და სინათლით.**



ასევე, ჩვეულებრივი მოვლენაა, სასწავლო წლის დაწყების წინ ის ნივთები დაარიგო, რომელიც ობოლ და მრავალშვილიან ოჯახებს სჭირდებათ.

დიახ, განა უცხო და ახალია, როცა მწერალი ქუდით ხელში ქუჩაში გასულა ,,სამათხოვროდ.“ არა იმის გამო, რომ გროშები უჭირდა და სურდა ეშოვა, არამედ იმისთვის, გაეთავისებინა უქონლის შინაგანი მდგომარეობა. ერთი საათით, თუ ერთი დღით ეცხოვრა და გაეზიარებინა უპოვარის ფსიქიკური მდგომარეობა და სიდუხჭირე.

განა დასაძრახია, როცა ადამიანები ქუჩაში გადიან და აპურებენ მტრედებს, ძაღლებს, ან სახლში მიყავთ კატები და უვლიან. სამწუხაროდ, ამ სასიამოვნო ქმედებისთვის ვინმე ეუბნება მათ, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ჯადოსნურ სიტყვას „მადლობა“. მისასალმებელია, როცა ადამიანები აკეთებენ იმას, რაც გულით სურთ და საკუთარი სულის გამოძახილად მიაჩნიათ.

უფალი იესო ქრისტე ჰმადლობდა თავის მოწაფეებს იმის გამო, რომ მას აჭამეს, როცა შიოდა.

„როცა მას ასმიეს, როცა სწყუროდა.

რომ დამოსეს იგი, როცა სციოდა.

რომ მიხედეს მათ, როცა შეუძლოდ იყო.“

თურმე რომელიღაც მოწაფეთაგანს შერცხვა სამადლობლის მიღება უფლისაგან იმაზე, რაც არასდროს მოუმოქმედებია და უკითხავს:

,,უფალო, როდის გშიოდა და გაჭმიეთ?

უფალო, როდის გწყუროდა და გასმიეთ?

უფალო, როდის გციოდა და დაგმოსეთ?

უფალო, როდის იყავ ავად და მოგხედეთ?“

პასუხს ელოდნენ ყველანი, რადგან სხვებიც ასე ჰფიქრობდნენ. უფალმა კი ასე მიუგო: ,,ყოველი, რაც უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე მიყავთ.“

იქნებ ვინმემ მიიჩნიოს, რომ მწერლის ქუჩაში გასვლა „მოჩვენებითობაა“ რაც ყოველ ადამიანს შეუძლია.

რასაკვირველია, ნებისმიერს შეუძლია ასე მოქცევა, მაგრამ არ ყოველი დადგება თუ დაჯდება, მტვრიან ქუჩაში. ყოველი არ ,,იკადრებს “ ცელოფნის ჩანთებით ჩამოჯდეს ქვის მოაჯირზე, გაშალოს საფენი, დაალაგოს ნაყიდი ნივთები და ხმამაღლა იძახოს: „უფასოდ წაიღეთ თქვენთვის, თქვენი პატარებისთვის, ახლობლებისა და მეზობლებისთვის!“

საჩუქრების გადაცემის ათასნაირი ფორმა არსებობს. გახმაურებული სერიალის „გამომძიებელი ქალი შორენასა“ და ისტორიული რომანის ,,მზე ქარიშხალში“ ავტორმა, ბორის დავითაიამ აირჩია ქუჩა და არა რომელიმე ოჯახი. მან თავს მისცა უფლება, ეყიდა რამდენიმე ახალი, ნივთი, რამდენიმე მეორადებში შეერჩია და სკოლაში სწავლების დაწყების წინა დღეს, ქუჩაში გამვლელთათვის მორიდებით შეეთავაზებინა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბორის დავითაია გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, ამა თუ იმ ფორმით. მადლობა უფალს, რომ საქართველოს, სულით ამაღლებული ადამიანები არ აკლია, რომლებიც ეხმარებიან ხელმოკლე ოჯახებს, ავადმყოფებს, სიცოცხლეს უხანგრძლივებენ და ბედნიერებას ანიჭებენ მათ.

უფლისეულია ყოველი შესაწირავი, გაღებული სულის სინათლით.

წლების წინ, ბორის დავითაიამ საკუთარი ხარჯით გამოსცა შთამომავლობის გარეშე დარჩენილი, მივიწყებული პოეტის, გიორგი ჭალადიდელის ლექსების კრებული „რჩეული“. მოაწყო მისი 150 და 170 წლების იუბილე.

როცა ბორის დავითაიას მშობლიური სკოლის ახალ ადმინისტრაციულ შენობას აგებდნენ ნოქალაქევში, ფულით რომ ვერ ეხმარებოდა, ჩაიცვა რეზინის ჩექმები და ერთი დღე ფიზიკურად იმუშავა. ასე გამოხატა გულმხურვალება მშობლიური სკოლის შენობის განახლებისადმი.

რაც უნდა რთული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობაში ვიყოთ. ყოველ ჩვენთაგანს აქვს მიზეზი მადლიერებისათვის და თუ გამოვხატავთ მას, ამით ვამრავლებთ ჩვენს სურვილს, ვაძლიერებთ სიკეთეს რითაც წარმოვაჩენთ ადამიანურ მოვალეობის მაღალი მისიისა ჩვენსას რამეთუ, როცა განეფინება სიკეთე, უძლურდება არა კეთილი. ვიზიდავთ სიყვარულის ძალას და ვიშორებთ ნეგატივს.

ათეული წლებია მწერალი საოცარი რუდუნებით უვლის სენაკის დასვენების პარკში აღმართულ გ. ჭალადიდელის ძეგლს და სოფელ ბერთემში ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიდი ნიკო დადიანის საფლავს. როცა ადამიანები ვერ იცლიან საკუთარი ბაბუისა და წინაპრების ძვალთშესალაგის მოსავლელად, ბორის დავითაია ძალასა და მონდომებას არ იშურებს მოუაროს საზოგადოდ გამორჩეული ზემოთ დასახელებულ მოღვაწეთა სამუდამო სასუფეველს.

ცხადია, რასაც მადლიერებით ვაკეთებთ, მას ჩვენს ცხოვრებაში შემოაქვს გარკვეული ჰარმონია, სითბო და სიხარული. თითოეული მოქმედება, სიტყვა თუ ჟესტი, რაც გაჯერებულია მადლიერებით, აქვს ჯადოსნური ძალა და ცვლის ჩვენს შინაგან სამყაროს.

**ლუარა ჯიქია**

**ჟიული შარტავას სახელობის სკოლის პედაგოგი**

## რედაქციისაგან:

**გაზეთი „ილორი“ იწყებს ამონარიდების ბეჭდვას 2018 წელს გამოცემული წიგნიდან „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“. წიგნის ავტორია ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ნოდარ ჭითანავა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №445-462

# პრივატიზაციის დეკლარირებულმა მიზანმა — შექმნილიყო ახალი ტიპის მესაკუთრე, რომელიც პირადი მოტივაციით შეძლებდა ეფექტიანობის ამაღლებას, სრული კრახი განიცადა



ნოდარ ჭითანავა

დღეს, ხელისუფლებაში მოსული თაობა, მის წინამორბედებისგან გამორჩეულია იმით, რომ იგი ძალადობას, მკვეთრად გამოკვეთილ აგრესიას არ იყენებს, განსხვავებულ აზრთან და პოლიტიკურ ოპონენტებთანაც მშვიდობიანად თანაარსებობს, თანამედროვე დონის განათლებაც აქვს, მაგრამ ცუდად იცნობს საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს, ვერ აღიქვამს ეროვნული ეკონომიკის დღევანდელ ტენდენციებსა და თავისებურებებს, ამიტომ, ადგილობრივ პრობლემებს უცხოეთში შეძენილი, განვითარებული ეკონომიკის თეორიებზე დაფუძნებული ცოდნით საზღვრავს. ეს მისაღებია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ვიცით, როგორია ქვეყნის ეკონომიკა და რა არის საჭირო, თუნდაც უკვე სხვაგან არსებული დონის მისაღწევად. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სწორად წარმართვა სულ სხვა მიდგომებს მოითხოვს, ვიდრე დღემდე არსებული თეორიები გვკარნახობენ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელ ნომენკლატურას სრულად არა აქვს გაცნობიერებული ეროვნული ეკონომიკური სისტემის ნეგატიური მხარეები, არც რეზერვები, რომლებიც განვითარებისთვის გააჩნია, თუნდაც „მთვლემარე“ საკადრო პოტენციალის სახით.

**ნომენკლატურის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა შესაძლებლობების მეცნიერება და ხელოვნებაა. ნომენკლატურამ უნდა აკეთოს არა ის, რაც სურს, არამედ ის, რაც რეალურადაა შესაძლებელი და ემსახურება ქვეყნის სწორად გააზრებულ ინტერესებს. აქ იხსნება კვანძი: ქვეყანას უნდა ჰქონდეს გრძალვადიან პერიოდზე ორიენტირებული პროგრამა და მისი განხორციელებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს ნომენკლატურა.**

შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გაღწევის მიზნით, აუცილებელია ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით გაანალიზდეს ეკონომიკურ გარდაქმნებში მიმდინარე პროცესები, დამდგარი შედეგები, ჩამოყალიბებული თავისებურებანი, ტენდენციები, კანონზომიერებანი და მათ საფუძველზე შემუშავდეს განვითარების სტრატეგია, განხორციელების პროგრამა და სამოქმედო ამოცანა, რომლის შესასრულებლად საჭიროა ნომენკლატურის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპების უზრუნველყოფა: კერძოდ, **საკადრო პოლიტიკა უნდა იყოს სტაბილური. მისი ძირითადი ნაწილი არ უნდა ექვემდებარებოდეს სპონტანურ პოლიტიკურ ცვლილებებს, ე.ი. ყოველი ახალი სახელისუფლებო გუნდის მოსვლისას მთლიანად არ უნდა იცვლებოდეს, არამედ ისე, როგორც ეს ხდება თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში (მხოლოდ პოლიტიკურ თანამდებობებზე ხდება ცვლილებები).** ეს პრაქტიკულად გამართლებულია, რამდენადაც მას მემკვიდრეობითობის მასტაბილიზებელი ფუნქცია ენიჭება.

ამრიგად, პროფესიონალიზმი და არა პარტიული კუთვნილება, ნომენკლატურის ფორმირების მთავარი პრინციპია და როგორც წესი, ახალი გამოწვევების შესაბამისად, ნომენკლატურული მუშაკების გადამზადების მწყობრი სისტემაც უნდა არსებობდეს. ამასთან, არც ერთ სფეროში სწორად გაგებული დემოკრატიის როლი ისეთი პრაგმატული მნიშვნელობის არ არის, როგორც ეკონომიკაში. აქ განსხვავებული მიდგომები, პროცესების მრავალფეროვნება, აზრების გაცვლა, დაპირისპირებული მოსაზრებების შეჯერება ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაციულ-მმართველობითი ინსტრუმენტების შექმნას, რაც საბოლოოდ, ეკონომიკის განვითარებას საჭირო ბიძგს მისცემს.

დღეს საქართველოს გლობალურ პროცესებთან ადაპტირებისა და საკუთარი ინტერესების დასაცავად სჭირდება სახელმწიფო ელიტა, ე.ი. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრები. სამწუხაროდ, მისი ფორმირების პროცესი მიზანმიმართულად არ მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ სახელმწიფოს არა აქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი.

## თავი მეორე. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები

### 2.1. პრივატიზაცია — ეკონომიკის კერძო სექტორის ფორმირების ფაქტორი

ჯერ კიდევ ეკონომიკური გარდაქმნების I ეტაპზე (1993 წლიდან) დაიწყო სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია. პროცესი უკიდურესად მძიმე, სამოქალაქო დაპირისპირების, ეთნოკრიზისის გაღრმავების, კრიმინალური დაჯგუფებების აღზევების, სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად არასტაბილურ ვითარებაში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, მიმდინარეობდა .

ეკონომისტთა მცირე ნაწილს თავიდანვე მიაჩნდა, რომ საერთო-სახალხო საკუთრების ფორმისგან რადიკალურად განსხვავებული განსახელმწიფოებრიობის ღონისძიებების განხორციელება დიფერენცირებულად და ეტაპობრივად უნდა წარმართულიყო. საბაზრო მექანიზმის მყისიერად გამოყენების მომხრეთა უმეტესობა კი გაუცნობიერებლად, უფრო ემოციურ და ვიზუალურ უპირატესობებზე დაყრდნობით მიიჩეოდა, რომ კერძო საკუთრებაზე გადასვლა საჩქარო, ამასთან, წინსვლის, სოციალური კეთილდღეობის ამაღლების ერთადერთი, უალტერნატივო გამოსავალია.

როგორც წინგაუხედავი ნებისმიერი გადაწყვეტილების მოუმზადებელი სტარტის დროსაა მოსალოდნელი, მალევე ცხადი გახდა, რომ შედეგები ეკონომიკურ დაღმასვლას გამოიწვევდა, მით უმეტეს, არსებული გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კორუფციული გარიგებებისა და ადგილობრივი თუ უცხოური წარმომავლობის ფულის გათეთრებისთვის.

> **იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელ ნომენკლატურას სრულად არა აქვს გაცნობიერებული ეროვნული ეკონომიკური სისტემის ნეგატიური მხარეები, არც რეზერვები, რომლებიც განვითარებისთვის გააჩნია, თუნდაც «მთვლემარე» საკადრო პოტენციალის სახით**

პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებული სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის შესახებ ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის შეფასებით: **„აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ კერძო საკუთრების შექმნასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. პრივატიზაციის პროცესს გარდამავალ ეკონომიკებში თან ახლდა მძიმე შეცდომები. დღეს ცხადია, რომ პრივატიზაციის მომხრეებმა ვერ შეაფასეს თვით პროცესის დანაკარგები — განსაკუთრებით პოლიტიკური, აგრეთვე ის დაბრკოლებები, რომლებსაც დაჩქარებული პრივატიზაცია უქმნის შემდგომ რეფორმებს... რეფორმის გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთი პოლიტიკის არჩევა გაუმართლებელი იყო“.**

მსოფლიო ბანკის პირველი ვიცე პრეზიდენტის დიდი დაგვიანებით გამოხატული ასეთი შეფასება გულისხმობს იმასაც, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად არ იყო მომზადებული თავად პროცესის დაწყებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაცია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მოიაზრებოდა, როგორც ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელსაც უნდა გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ღრმა ცვლილებები, ხელი შეეწყო თვისებრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

**პრივატიზაციის პროცესის ცენტრალური ფიგურა (სუბიექტი) თავად სახელმწიფო იყო. მან საკუთარი ქონების გასხვისება საზოგადოების დაწყნარების, სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის შერბილების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნია და განსაზღვრა, რომ სახელმწიფო საკუთრების კერძო მფლობელობაში გადასვლა ფორსირებულად მოხდებოდა და ამით ბუნებრივად ჩამოყალიბდებოდა საბაზრო მექანიზმები ეკონომიკის თვითრეგულირების რეჟიმით ფუნქციონირებისთვის.**

**პრივატიზაციის პროცესის მეორე მონაწილე — მყიდველი, აღმოჩნდა ის „აქტიური სუბიექტი“, ვისაც ადრე უკანონო შემოსავლები ჰქონდა და ნებისმიერი ქონების შეძენა საკუთარი კაპიტალის ლეგალიზებისთვის სჭირდებოდა. ამ მიზანთან ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესებიც თანხვედრაში მოექცა, რამაც დააჩქარა იაფი პრივატიზაციის წინაალმდეგობრივი პროცესი და შედეგით ორივე მხარემ ისარგებლა. სახელმწიფო ქონება „ფარულ მეპატრონეთა“ მიერ ხელოვნურად იძარცვებოდა, ფუნქციას კარგავდა ადრე მოქმედი მაღალრენტაბელური საწარმოები. ამ მეთოდით იშორებდნენ იქ დასაქმებულ „ზედმეტ“ პირებს, შემდეგ კი „უფუნქციო“ ობიექტი ფორმალურად შეჰქონდათ საპრივატიზაციო ნუსხაში და წინასწარვე შეგულებული ქონება შეთანხმებული პირობებით გადადიოდა „ახალი ინვესტორის“ საკუთრებაში. სახელმწიფო ქონების მიტაცების ისედაც კულუარულ გარიგებებსა და ხელოვნურად გაუმჭვირვალე პროცესს თან ახლდა სხვა უბედურება, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის („ფულის გათეთრების“, „ფულის გარეცხვის“) სახელითაა ცნობილი. საზოგადოების „აქტიური“ ნაწილი, ერთი მხრივ, ძირითადი ფონდების ღირებულების ხელოვნურად შემცირებით, მეორე მხრივ, ვაუჩერების უმნიშვნელო ფასად შესყიდვით, „მაღალწონიანი“ მესაკუთრე ხდებოდა და „შავი ფულით“ უკანონოდ შეძენილი ქონების ლეგალიზებას შეუფერხებლად ახერხებდა. სახელმწიფო ქონების მითვისების ამ ნაცადმა ხელწერამ საქართველოში საგანგაშო მასშტაბები მიიღო.**

**პრივატიზაციის პროცესის მესამე მონაწილე — პრივატიზებული საწარმოს კოლექტივები და მოსახლეობის დიდი ნაწილი, ე.წ. პასიური სუბიექტები, ფაქტობრივად, თამაშგარეთ აღმოჩნდა: მათ თავისუფალი სახსრები ისედაც არ გააჩნდათ, შემნახველ ბანკებში არსებული ანაბრები კი უკვე გაუფასურებული იყო, ინფლაცია სამნიშნა ციფრებს სჭარბობდა. მოშლილი იყო საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ქვეყანის პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. პრივატიზაციის დეკლარირებულმა მიზანმა — შექმნილიყო ახალი ტიპის მესაკუთრე, რომელიც პირადი მოტივაციით შეძლებდა ეფექტიანობის ამაღლებას, სრული კრახი განიცადა.**

ეკონომიკური გარდაქმნების საწყისი პერიოდის პრივატიზაციის შედეგებიდან, ყველაზე ცოტა, ორი მნიშვნელოვანი გარემოება იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: ერთი, შეუძლებელია (ან დიდ ძალისხმევას მოითხოვს) იმ ხანად პრივატიზებული (მსხვილი) საწარმოს ფაქტობრივი მესაკუთრის იდენტიფიცირება. კომპანიების უმეტესობა ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული. მეორე, დასაქმებული პერსონალის აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ ამ საწარმოთა აქტივებს, მატერიალურ ფასეულობას, იმიჯს, გათავისუფლებულია სამუშაო ადგილებიდან. ორივე გარემოებას აერთიანებს პრივატიზაციის პროცესის გაუმჭვირვალობა. საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია (ან ძნელად მოსაპოვებელია) ინფორმაცია იმის შესახებ, შესრულდა თუ არა პრივატიზებული საწარმოების მესაკუთრეების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

მოვლენების განვითარების დრამატიზმი არა მხოლოდ ის არის, რომ ეკონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპებზე სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლის სტარტი წარუმატებელი აღმოჩნდა, არამედ ისიც, რომ პრივატიზაციის პროცესი, გამოცდილების ანალიზის და სათანადო კორექტივების გარეშე, უარესი სახით, ფორმით და შედეგებით გაგრძელდა.

უფრო თვალსაჩინო წარმოდგენისთვის, შესაძლოა საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის ორი ეტაპი გამოვყოთ: **პირველი** მოიცავს 1992-2003 წლებს, როცა ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი უკიდურესად მძიმე ვითარებაში მიმდინარეობდა და რომლის მიმართ მთავარ ბრალდებად გაუმჭვირვალობა სახელდება. **მეორე,** 2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პრივატიზების ახალი „აგრესიული“ ტალღის სახით დაიწყო და რეფორმატორი ხელისუფლების დაპირების თანახმად, წინა ეტაპებისაგან განსხვავებით, „მაქსიმალურად ობიექტური და ტრანსპარენტული“ უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამ ჯერზეც მოლოდინი მწარე რეალობაში განსახიერდა: განახლებული პრივატიზაციის პროცესი, ჯერაც არ დასრულებულა და გამჭვირვალობის ხარისხი კვლავაც არადამაკმაყოფილებელია.

1997 წლამდე პრივატიზაციის პროცესი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, პირადი შეხედულებებით და ხელისუფლებაზე გავლენის ხარისხის შესაბამისად ხორციელდებოდა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების მარეგულირებელი კანონი: „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“, საქართველომ მხოლოდ 1997 წელს მიიღო. ამ კანონში, მის გაუქმებამდე, სულ 34 ცვლილება შევიდა, აქედან, 27 ცვლილება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელდა. „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2010 წელს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონმა ჩაანაცვლა. მასში მოკლე პერიოდში ათეულობით ცვლილება შევიდა, თუმცა არც ერთი მათგანი არ მომხდარა საზოგადოების ჩართულობით და პროცესის რეალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. კანონში შესული ცვლილებები შეეხო: სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის მიზნის კორექტირებას, იმ ქონების ფასს, რომელიც გამოტანილი იყო გასაყიდად, მაგრამ არ გაიყიდა, სასაზღვრო ზონაში განთავსებულ ობიექტებს, ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტებს, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს, საპრივატიზაციო ქონების ჩამონათვალს; პრივატიზაციის ფორმებს, პრივატიზებული საწარმოების მუშაკთა სოციალურ გარანტიებსა და შეღავათებს, მყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას, ტყეებს, აგრეთვე სხვა შეზღუდვებს, რომელიც ადრე ხელშეუხებლად მიიჩნეოდა. ყველა შემთხვევაში, ცვლილებათა შედეგად, კანონმა პირთა ჯგუფის კერძო ინტერესები გაითვალისწინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა — სიკვდილის ტოლფასი

„თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც — გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე — ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.

სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა — სიკვდილის ტოლფასი“.

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე**

## მილოცვა

# ვახტანგ გვარამია — 80

საქართველოს უახლესი ისტორიიდან რაიმე მნიშვნელოვანი ამბის გახსენებისას, რომელიც მივიწყებას მიეცა, მაგრამ დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე პარალელის გასავლებადაა საჭირო, ჟურნალისტები ყოველთვის ინტერნეტის დახმარებით ცდილობენ მოიძიონ ინფორმაცია, რადგან მათ, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ ბედნიერება, პირადად იცნობდნენ გენერალ-მაიორ, ვახტანგ გვარამიას, ჩვენი ქვეყნის მემატიანეს, 1960-70-იანი წლებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესების აქტიურ მონაწილეს, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნეს, მართალ და პირნათელ ადამიანს...

**ვახტანგ გვარამია** დაიბადა ქ. ფოთში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტი 1962 წელს.

1962-1963წწ. იყო ფოთის ნავსადგურის იურისკონსულტი; 1963-1966წწ. ფოთის შს განყოფილების გამომძიებელი; 1966-1972წწ. საქართველოს შს სამინისტროს უფროსი გამომძიებელი; 1972-1983 წწ. თბილისის შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი; 1983-1987 წწ. თბილისის I მაისის შს რაიონული განყოფილების უფროსი; 1987-1989წწ. თბილისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე; 1989-1990წწ. საქართველოს შს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე; 1990-1994წწ. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე; 1994-1999წწ. იუსტიციის მინისტრის მოადგილე; საქართველოს პარლამენტის წევრი: პარტიული სიით, ბლოკი „საქართველოს აღორძინება“, იურდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი; ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე (1999-2003); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი 2003-2014). უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი; მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში „საქართველოს პარლამენტი“ (1990-2006, 1999-2003), „საქართველო — 21-ე საუკუნის დასაწყისი“.



ბატონი ვახტანგი 7 ნოემბერს 80 წლის გახდება. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისცეს...

მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი რჩევა-დარიგება სასიკეთოდ წაადგება საქართველოს ძალოვან სისტემას.

დიდხანს, დიდხანს იყავით ამ ქვეყნის საიმედოდ და ჭკუის დამრიგებლად ბატონო ვახტანგ!

**დიდი პატივისცემით, გაზეთ „ილორის“ რედაქცია**



## მილოცვა

# ვალერი გაბელია — 65

**ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დროს ჯერ ჩხოროწყუს, შემდეგ მარნეულის რაიონის პრეფექტი, ბატონი ვალერი გაბელია 65 წლისაა!**

სულით და გულით ვულოცავ ამ დიდებულ ადამიანს იუბილეს და ვუსურვებ მას დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს! დაე, მისცემოდეს შესაძლებლობა კვლავაც მისთვის ჩვეული შემართებით და ალალმართლობით იღვაწოს მამულის საკეთილდღეოდ!

მიგახვამა იუბილეს დო ბრელი წანას სინთელუანო ქომძირდა, პატჷნი ვალერი!

**მალას გოფალედას დო გოპირედას შურობუმ ოდაბადე!**

**ქირსეანური ცოროფათ დო კაბეტი პატმეჩამათ,**
**ზურაბ კვარაცხელია**

## სამძიმარი

# «ტკბილია მამული»...

მშვენიერი ლექსების ავტორი იყო ქართული მწერლობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, წარმოშობით აბაშელი, ქუთაისში დაბადებული პოეტი იაკობ მელია.

სწავლა-განათლების მოსურნე, შემეცნებას მოწყურებულმა ჭაბუკმა მეორე მსოფლიო ომის საშინელება იწვნია. ქერჩთან ახლოს მიიღო მძიმე ჭრილობა. ომიდან დაბრუნებულმა თავისი პირველი ლექსები „ხენი სტიროდნენ“, „მარაბდის ღამე“ მერეხიძის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მისი ლექსები გაჯერებული იყო საქართველოს სიყვარულით. სითბო და სიტკბოების განცდა გამოსჭვივის მის სტრიქონებში — „და ვამბობ ტკბილია, ტკბილია მამული...“

იაკობ მელია იყო აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. იცნობდნენ როგორც გულისხმიერ, ყურადღებიან ხელმძღვანელსა და მეგობარს. სიცოცხლის სიყვარული ამოძრავებდა მის გულს. ძვირფასი იყო მისთვის ყოველი წამი, ახასიათებდა მამულიშვილური შემართება. პოეტურად დაასრულა იაკობ მელიამ თავისი შინაარსიანი ცხოვრება — ამ ქვეყნად მოსვლა ამაო არ არის, რაც მის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში გამოკრთის:

„რა ძვირფასია უბრალო წამიც,
რა ღვთაებრივი სიკეთით მმოსავს.
ერთი სიმღერის სათქმელად მაინც,
ვფიცავ, რომ ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა“.

ღმერთმა გაანათლოს ღვაწლმოსილი ადამიანის სული.

**ზურაბ მელიას ოჯახი**

## სამძიმარი



თანაგრძნობას ვუცხადებთ სოხუმელ, ცნობილ ენათმეცნიერს, კუკური ფიფიას მეუღლის —

დიანა შენგელიას

გარდაცვალების გამო...

ასევე თანავუგრძნობთ მიცვალებულის შვილებს, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს...

უფალო, გაანათლე მისი სული...

ჩხონაფა ცოფედას დიანა შენგელიაშ შურიში...

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სახელით,
ზურაბ კვარაცხელია
გაზეთ „ილორის“ რედაქტორი,
ეკა ნასყიდაშვილი

## გახსენება

**2 ნოემბერს 78 წელი შეუსრულდებოდა გაზეთ „ილორის“ უცვლელ რედაქტორს, ბატონ როლანდ ჯალაღანიას.**

უბადლო მეგობარი, საქმის უზადო მცოდნე, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, საზოგადო მოღვაწე, პრინციპული ადამიანი, წავიდა ამ ქვეყნიდან და მიუხედავად იმისა, რომ წელიწადზე მეტი გავიდა რაც ის ჩვენს გვერდით აღარ არის, მეგობრები ბატონ როლანდს ისე იხესენებენ, როგორც ცოცხალს, კვლავ მათ გვერდით მდგომს...

19 წელიწადი ხელმძღვანელობდა გაზეთ „ილორს“ როლანდ ჯალაღანია და ამ ხნის მანძილზე რამდენი ბრძოლა გადაიტანა, რამდენჯერ დაიხურა გაზეთი და კვლავ აღდგა, ვინ მოსთვლის...



**როლანდ ჯალაღანია** — დაიბადა 1941 წლის 2 ნოემბერს. გაიზარდა თბილისში, დაამთავრა მე-7 ვაჟთა გიმნაზია (ახლანდელი 53 საჯარო სკოლა). 1959 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კიბერნეტიკის ფაკულტეტზე და სწავლა დაასრულა 1965 წელს. 1968 წლიდან მუშაობდა გაზეთ „თბილისში“ კორესპონდენტად. 1972 წ. — 1977 წლამდე მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ჟურნალისტად. 1977წ-1978 წ. მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში კორესპონდენტად. 1975 წლიდან იყო აგრეთვე ჟურნალ „კროკოდილის“ კორესპონდენტი საკავშირო ხაზით. 1978 წელს მუშაობდა გამომცემლობა „ხელოვნებაში“ რედაქტორად. 1985 წელს გადავიდა გამომცემლობა „მერანში“ რედაქტორად, შემდგომ დირექტორის მოადგილედ. 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციაში.

1999 წლიდან — დღიდან დაფუძნებისა, იყო გაზეთ „ილორი“-ს უცვლელი რედაქტორი.

ავტორია რამოდენიმე წიგნის: „სიმაღლე“, „სიცოცხლე გრძელდება“, „შეუკრავი წრე“, „რისკის არითმეტიკა“...

არის უამრავი წიგნის თანაავტორი.

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონ როლანდ ჯალაღანიას სული...**

**ალექსანდრე ჭაჭია,**
**ტარიელ გაგნიძე,**
**ვიქტორ ცაავა,**
**ზაურ გახარია,**
**ზურაბ კვარაცხელია,**
**ანზორ დანელია,**
**დავით ქობალია,**
**ეკა ნასყიდაშვილი**


## სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 „ილორი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge